With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

TEES
ეროვნული სწავლების სააგენტო
კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

ევროპული ასოცირების პროცესი საქართველოში

დამხმარე სახელმძღვანელო ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის

გურანდა ჭელიძე
ეკატერინე ქარდავა
ზურაბ ბრაგვაძე

ევროპული ასოცირების პროცესი საქართველოში

დამხმარე სახელმძღვანელო ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის

თბილისი 2020

მომზადებულია კავკასიის უნივერსიტეტში ევროკავშირის Erasmus+ პროგრამების მხარდაჭერით, ჟან მონეს პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ – “Triangle Effect of European Studies at Schools” (TEESS) ფარგლებში – 611026-EPP-1-2019-1-GEEPPJMO-PROJECT

With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

პროექტი თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა მოსაზრებას და ევროკავშირი არაა პასუხისმგებელი წარმოდგენილ ინფორმაციაზე. ავტორების სტილი დაცულია.

რედაქტორები: ეკატერინე ქარდავა
გურანდა ჭელიძე

კორექტორი: ნანა ქვაჩახია

დამკაბადონებელი: გიორგი ბაგრატიონი

© კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

ISBN: 978-9941-9702-4-5

ავტორები:

გურანდა ჭელიძე – ისტორიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ჟან მონეს პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) თანაავტორი, ექსპერტი და კოორდინატორი, ევროკავშირის სხვადასხვა პროექტის მონაწილე, 40-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის, ევროპის ისტორიისა და ევროკავშირის საკითხებზე, ტრენერი ევროინტეგრაციის საკითხებში.

ეკატერინე ქარდავა – სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი (აფილირებული); გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი; ჟან მონეს მოდულის „აღმოაჩინე ევროკავშირი ასოცირების შეთანხმებაში“ (EUEAA) ავტორი და კოორდინატორი, ჟან მონეს პროფესორი; ჟან მონეს პროექტის „ევროკავშირის სამართლებრივი სახე“ (LFEU) ავტორი და თანაკოორდინატორი; ჟან მონეს პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) თანაავტორი და ექსპერტი; ტელე-გადაცემის „ევროპის დროით“ თანაავტორი და შინაარსის შემქმნელი (კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით); პროექტის „ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა და ქართული შრომის სამართალი“ ავტორი და ხელმძღვანელი (ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით); ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე.

ზურაბ ბრაგვაძე – კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი; ჟან მონეს პროექტის „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) ექსპერტი. ასამდე სამეცნიერო ნაშრომისა და 5 მონოგრაფიის ავტორი საქართველოს ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებზე; ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს სხვადასხვა პროექტის მონაწილე და ხელმძღვანელი; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიური საბჭოს წევრი.

სარჩევი

ავტორებისაგან 7

გურანდა ჭელიძე 9

რას ნიშნავს იყო „ევროპელი“ 9

ევროპული ცხოვრების წესი 9

ევროკავშირის მიზნები 10

ევროკავშირის ფასეულობები 11

ევროკავშირის შექმნა 13

ევროკავშირში გაწევრიანების პირობები 20

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების ქრონოლოგიიდან 22

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP) 24

აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP). 26

ეკატერინე ქარდავა 29

ევროპული ინტეგრაციის არჩევანი – ოფიციალურად აღიარებული და დადასტურებული საქართველოს მიერ 29

საქართველოს ვითარება და საჭიროებები პოსტ-საბჭოთა ეპოქაში და ევროპულ კავშირთან პარტნიორობის მნიშვნელობა 34

ევროპული კავშირის დახმარებით განხორციელებული პროექტების შინაარსი 36

ახალი გამოწვევები ევროპული ინტეგრაციის პროცესში 37

ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების
თანაცხოვრების წესრიგი 38

ევროპული კავშირის თავისუფალი შიდა ბაზარი 38

ასოცირების შეთანხმება (AA) და ღრმა და
ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის
სივრცე (DCFTA) 40

ევროპული კავშირის თავისუფლების,
უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცე. . . . 42

ენის პატივისცემა ევროპულ კავშირში 43

ოჯახი და ქორწინება ევროპულ კავშირში 44

ევროპული კავშირის დახმარებები
საქართველოსადმი 45

შრომითი უფლებების დაცვის ევროპული
სტანდარტები და ასოცირების შეთანხმება 46

ქართული პროდუქტი ევროპული
კავშირის შიდა ბაზარზე 48

სურსათის უვნებლობა და პროდუქტის
უსაფრთხოება – ადამიანის სიცოცხლისა
და ჯანმრთელობის დაცვა 50

მომხმარებელთა უფლებების დაცვა 51

თანასწორობის პოლიტიკა და
დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა 52

ზურაბ ბრაგვაძე 55

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა
ევროპულ კონტექსტში 55

ავტორებისაგან

ძვირფასო მკითხველო, ძვირფასო მასწავლებლებო, მათთან ერთად, მოსწავლეებო და მშობლებო,

ჩვენ გვჯერა, როცა თქვენ არჩევანს აკეთებთ, არა მხოლოდ საკუთარ მომავალს ქმნით, არამედ სხვათა ცხოვრებაზეც ზემოქმედებთ. ეს არის პიროვნების ძალა საზოგადოების ფორმირებასა და განვითარებაში. ვის და რას ირჩევ, ეს განაპირობებს შედეგსაც – შენს ბედს, სხვათა ბედს. ამიტომ, პასუხისმგებელი ვართ სწორ არჩევანზე. არჩევანი თქვენია. არჩევანი თავისუფალია. ჩვენ კი გაგიზიარებთ ცოდნას და გეტყვით სიმართლეს, რათა თქვენი არჩევანი დაეფუძნოს რეალობას, მართალ ინფორმაციას, გამჭვირვალე ობიექტურ გარემოებებს, ფაქტებს, ნათელ მაგალითებს და ცხად რიცხვებს.

თანამედროვე საქართველოში პროგრესის, განვითარების და სწორი არჩევანის ერთ-ერთი საფუძველია საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ გაიგოს, რა არის ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები. ამ მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტმა მოიპოვა Erasmus+ პროგრამის ჟან მონეს პროექტის დაფინანსება ევროპული კავშირისგან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობის საფუძველზე, დაიწყო დიალოგის პროცესი სკოლის მოსწავლეებთან.

ევროპული ინტეგრაცია საქართველოს ეროვნული და სასიცოცხლო ინტერესების ნაწილია, საქართველოს საშინაო პოლიტიკის საგანია, საქართველოს თი-

თოეული მოქალაქის ღირსეული და დაცული ყოფის მომავალში ინვესტირების პროცესია.

განვითარების ევროპული გზა საქართველოს ხალ-ხისა და საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული და ფასეულობითი არჩევანია.

გურანდა ჭელიძე
ეკატერინე ქარდავა
ზურაბ ბრაგვაძე

კავკასიის უნივერსიტეტი (CU)
2020 წელი, თბილისი

გურანდა ჭელიძე

რას ნიშნავს იყო „ევროპელი“

ადამიანები მიდრეკილნი არიან იდენტობისაკენ. ისინი სხვადასხვა მიმართულებით ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიკაციას, მაგრამ იშვიათად თუ ცდილობენ უფრო მაღალ და ფართო დონეზე მოახდინონ იდენტიფიცირება, ვიდრე მხოლოდ ერთი რეგიონი ან ერთი ქვეყანაა.

ამ გაგებით ტერმინი „ევროპელი“ შეიძლება უნიკალურად ჩაითვალოს. დღეს „ევროპელი“ თუ „ევროპული“ ხშირად გამოიყენება ევროკავშირის მოქალაქეობის კონტექსტში. ასე რომ, ევროპა აღარ არის მხოლოდ გეოგრაფია, ევროპა იდეაცაა. ევროკავშირი არც კონტინენტია და არც ტრადიციული ერი სახელმწიფო. სინამდვილეში, ის აღარ არის არც მხოლოდ ეკონომიკური ალიანსი. იგი ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფოების კავშირია და ეს ფასეულობები პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათისაცაა.

ევროპული ცხოვრების წესი

ძალიან ბევრი ადამიანი, მათ შორის, თავად ევროპელები, აკრიტიკებენ მოსაზრებას ევროპის კონტინენტზე მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ერთ განსაზღვრებაში განზოგადების თაობაზე, მაშინ როცა სახეზე გვაქვს მრავალფეროვანი კულტურა, ენები და ისტორია. ისინი თითქოს არც სცდებიან თავიანთ არგუმენტაციაში, მაგრამ მათი დასკვნა მაინც არ არის მართებული, რადგან ევროპის კავშირის დევიზი **„ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ (United in diversity)** ჩვენ გვაძლევს თანაარსებობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობას ევროპული ცხოვრების წესის გარანტად აღიარებულ ფასეულობაზე დაფუძნებული გამოცდილებით; როცა ყველას შეუძლია აღი-

მაღლოს ხმა, მიიღოს მონაწილეობა მრავალფეროვანი საზოგადოების მართვაში, არ ეშინოდეს შესაძლო შედეგების, თუ მათი მოქმედება არ ზღუდავს სხვა მოქალაქეების უფლებებსა და თავისუფლებებს.

ევროკავშირის მიზნები

- ევროპული ფასეულობებისა და საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობის განვითარების ხელშეწყობა;
- მშვიდობის, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების უზრუნველყოფა;
- საზოგადოების მდგრადი განვითარების გაძლიერება დაბალანსებული ეკონომიკური ზრდითა და ფასების სტაბილურობით, მაღალკონკურენტული საბაზრო ეკონომიკით, დასაქმებითა და სოციალური პროგრესით, გარემოს დაცვითი პრობლემების მოგვარებით;
- ბრძოლა სოციალური იზოლაციისა და დისკრიმინაციის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობა;
- ევროკავშირის ქვეყნებს შორის ეკონომიკური, სოციალური, ტერიტორიული ერთიანობისა და სოლიდარობის განვითარება, შიდა ბაზრის ჩამოყალიბება საბაჟო საზღვრების გარეშე ერთმანეთისათვის დაბრკოლებების შექმნის თავიდან აცილების მიზნით;
- მდიდარი კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების პატივისცემა;
- ეკონომიკური და სავალუტო კავშირის განვითარება და ერთმანეთის (ქვეყნების) გაძლიერება ერთიანი ვალუტით.

ევროკავშირის ფასეულობები

ევროკავშირის ფასეულობები საერთოა მისი წევრი სახელმწიფოებისათვის, რომელთათვის უმთავრესია *ინტეგრაცია, მოთმინება, სამართლიანობა, სოლიდაროობა.* ისინი უარს ეუბნებიან დისკრიმინაციას. ეს ფასეულობები ევროპული საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ადამიანის ღირსება

ადამიანის ღირსება ხელშეუვალია. მას პატივი უნდა ვცეთ და დავიცვათ. ღირსება წარმოადგენს ფუნდამენტური უფლებების რეალურ საფუძველს.

თავისუფლება

ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლებები – პირადი ცხოვრების, აზროვნების თავისუფლების, რელიგიის, შეკრების, აზრის გამოხატვის თავისუფლება – დაცულია ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიით.

გადაადგილების თავისუფლება მოქალაქეებს აძლევს უფლებას, თავისუფლად გადაადგილდნენ და იცხოვრონ ევროკავშირის ფარგლებში.

დემოკრატია

ევროკავშირის ფუნქციონირება ეფუძნება წარმომადგენლობით დემოკრატიას.

იყო ევროკავშირის მოქალაქე, ნიშნავს ისარგებლო პოლიტიკური უფლებებით. ევროკავშირის ყველა ზრდასრულ მოქალაქეს აქვთ უფლება წარადგინოს საკუთარი კანდიდატურა, ისარგებლოს ხმის მიცემის უფლებით ან ადგილსამყოფელ ან მათი წარმომავლობის ქვეყანაში. ხელისუფლებას ხალხი ირჩევს, ეს კი სამართლიანი არჩევნებით მიიღწევა, რაც ნიშნავს ხელისუფლების ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს ხალხის წინაშე. დემოკრატია ერთდროულად უზრუნველყოფს სტაბილურობას, თანმიმდევრულ განვითარებასა და უსაფრთხოებას.

თანასწორობა

თანასწორობა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანაბარ უფლებებს ნიშნავს. ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის პრინციპს ემყარება ევროპული პოლიტიკა და წარმოადგენს ევროპული ინტეგრაციის საფუძველს. იგი ვრცელდება ყველა სფეროში. თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი 1957 წელს რომის ხელშეკრულების ნაწილი გახდა.

კანონის უზენაესობა

ევროკავშირი ეფუძნება კანონის უზენაესობას. ევროკავშირის ყველა მოქმედება შეესაბამება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ნებაყოფლობით და დემოკრატიულ შეთანხმებებს. კანონი და სამართლიანობა მხარდაჭერილია დამოუკიდებელი სასამართლო სისტემით. ევროკავშირის ქვეყნებმა საბოლოო იურისდიქცია გადასცეს ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილებები ყველამ უნდა დაიცვას და სცეს პატივი. ევროინტეგრაცია ნიშნავს კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ წესრიგს, კანონის უზენაესობა კი ნიშნავს, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების მიერ მიღებული კანონების განუხრელ დაცვას და ამ კანონთა მოქმედების ეფექტურობის შემოწმება/მონიტორინგს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.

ადამიანის უფლებები

ევროპული იდეა ადამიანის თავისუფლების და ყველას თანასწორობის უზენაესობაა. ადამიანს აქვს ბუნებრივი უფლებები. ადამიანი იბადება თავისუფალი. მას აქვს სიტყვის, გამოხატვის, პირადი თავისუფლება. სახელმწიფომ ბოროტად არ უნდა გამოიყენოს ძალაუფლება, სწორი ბალანსი უნდა იპოვოს ადამიანის უფლებებსა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას შორის.

ადამიანის უფლებები დაცულია ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიით. ეს მოიცავს თავისუფლებას დისკრიმინაციისაგან სქესის, რასობრივი ან ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის ან რწმენის, ინვალიდობის, ასაკისა თუ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, პერსონალური მონაცემების დაცვის ან მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლებებს.

2012 წელს ევროკავშირს მიენიჭა ნობელის პრემია, ევროპაში მშვიდობის, შერიგების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

ევროპის კავშირის ფასეულობების განვითარებას, მისი ამოცანების აღსრულებას, მოქალაქეთა და წევრი ქვეყნების ინტერესების დაცვას, პოლიტიკის ეფექტურობასა და განგრძობადობას უზრუნველყოფს ევროკავშირის პოლიტიკური ინსტიტუტები. თითოეული ინსტიტუტი მოქმედებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის_დაცვით საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში. ევროპის კავშირის პოლიტიკური ინსტიტუტებია ევროკომისია, ევროპარლამენტი, ევროპული საბჭო, ევროპული კავშირის (მინისტრთა) საბჭო, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო, ევროპის ცენტრალური ბანკი, აუდიტორთა სასამართლო.

ევროკავშირის შექმნა

არ ვიქნებით მართალი, თუ ევროპული სახელმწიფოების ისტორიას მხოლოდ ნათელ ფერებში დავხატავთ. საუკუნეებმა ევროპულ სახელმწიფოთა შორის დაპირისპირებებისა და ომების არაერთი ფურცელი შემოგვინახა. თუმცა მეორე მსოფლიო ომის დასრულებისა და ისტორიის გაკვეთილების გააზრების შემდეგ, ერთიანი დიდი ევროპული ოჯახი შეიქმნა. ევროპულმა სახელმწიფოებმა გაითვალისწინეს, რომ ისინი დიდი ხნის განმავლობაში ერთად ცხოვრობდნენ ევროპის კონტინენტზე, რომ ერთმანეთს ენათესავება ევროპული ენ-

ები, ერთი ფუძიდან იღებს სათავეს ევროპული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, ევროპის ერთ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანი შეიძლება წარმოშობით მეორე ევროპული ქვეყნიდან იყოს. ასე რომ, ევროპული ინტეგრაციის ფუნდამენტურ საფუძველს, რასაკვირველია, შეადგენდა და შეადგენს ევროპის ხალხთა სოციო-კულტურული სიახლოვე. შუასაუკუნოვანი ევროპიდან მოყოლებული ეს სივრცე წარმოადგენდა კულტურულ ერთიანობას, რომელსაც ქრისტიანული რელიგია და ლათინური დამწერლობა აერთიანებდა. სხვადასხვა ხალხისთვის ევროპა იყო ერთიანი ცენტრი, საიდანაც მსოფლიოში ვრცელდებოდა ევროპული ღირებულებები. ევროპელებს ერთნაირად სჯერათ სამართლიანობის, აზრის თავისუფლების, ერთმანეთის პატივისცემის, ტოლერანტობის. ევროპელები ერთნაირად აფასებენ ყველაფერ იმას, რაც ამ ქვეყნებსა და ხალხებს აერთიანებთ.

ვიდრე ევროპის გაერთიანების იდეა რეალური პოლიტიკური მიზანი გახდებოდა, ამ იდეას, როგორც ევროპული სახელმწიფოების სამომავლო ბედს, იზიარებდნენ ევროპელი ფილოსოფოსები და მწერლები. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ცნობილი ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო საუბრობდა ჰუმანიზმის იდეებზე დაფუძნებული „ევროპის შეერთებული შტატების შესახებ“. XX საუკუნის 20-იან წლებში ავსტრიელი პოლიტიკოსი, ევროინტეგრაციის ერთ-ერთი პირველი იდეოლოგი რიჩარდ კალერგი ასაბუთებდა, რომ ევროპის ერთობა შესაძლებელი იყო მხოლოდ გერმანიისა და საფრანგეთის მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობის შემთხვევაში. თუმცა ამ მოსაზრებების პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა XX საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარი ორი მსოფლიო ომის პირობებში.

1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის უმძიმესმა შედეგებმა ევროპისათვის – მილიონობით უსახლკარო ადამიანმა, უბრალოდ, ლტოლვილმა და უმუშევარმა, ევროპის ეკონომიკური ჩამორჩენილობის პიკმა მის პოლიტიკურ დაქუცმაცებულობასთან ერთად, დაანახა მსოფლიო საზოგადოებას, რომ ევროპის დანგრეული და ინფრასტრუქტურულად ჩამოშლილი ეკონო-

მიკის აღდგენა მხოლოდ სახელმწიფოთა თანამშრომლობით იყო შესაძლებელი, ეს კი მომავალში თავიდან აგვაცილებდა ქვეყნებს შორის დაპირისპირებების წარმოქმნის საშიშროებასა და ახალ ომებს. წლების განმავლობაში ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები მზად იყვნენ ბოლო მოეღოთ უსაზღვრო სიძულვილისათვის და შეექმნათ პირობები მდგრადი მშვიდობისათვის. ამ პერიოდის გამოჩენილი მოღვაწეების მთელი პლეადა – რობერ შუმანი, კონრად ადენაუერი, უინსტონ ჩერჩილი და სხვები მოუწოდებდნენ ევროპელ ხალხებს, ისტორიის ახალი ფურცელი გადაეშალათ თავიანთ ცხოვრებაში. დასავლეთ ევროპაში უნდა შექმნილიყო საერთო ინტერესებსა და შეთანხმებებზე დაფუძნებული ახალი სტრუქტურები, რომლებიც იქნებოდნენ ყველა ევროპული სახელმწიფოს მართლწესრიგისა და თანასწორობის გარანტი. ჩვენთვის ძალიან საინტერესოა, რომ ერთიანი ევროპის შექმნას მხარს უჭერდა სტრასბურგში მცხოვრები ქართველი იურისტი მიშელ მუსხელი (მიხეილ მუსხელიშვილი), რომელიც თვლიდა, რომ გაერთიანებით ევროპის ქვეყნები გაძლიერდებოდნენ და ეს არ ხელყოფდა და დაასუსტებდა გაერთიანებაში შემავალი სახელმწიფოების სუვერენიტეტს.

ევროპის სახელმწიფოების გაერთიანების მოწოდებებს მოჰყვა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის მიერ გაერთიანებული ევროპის იდეის გაჟღერება 1946 წლის 19 სექტემბერს, შვეიცარიაში, ციურიხის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას: „ჩვენ ხელახლა უნდა შევქმნათ ევროპული ოჯახი რეგიონული სტრუქტურით, რომელსაც შეიძლება დაერქვას ევროპის შეერთებული შტატები“.

დიდი ბრიტანეთის იდეას მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. 1947 წელს აშშ ევროპის დანგრეული ეკონომიკის აღსადგენად დაამტკიცა „მარშალის გეგმა“, რომელიც ევროპულ სახელმწიფოებს თანამშრომლობისკენაც მოუწოდებდა. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქოდა საფრანგეთის პოზიციას – რამდენად მოინდომებდა ის ყოფილ მეტოქესთან, გერმანიასთან თანამშრომლობას. თუმცა ევროპული ინტე-

გრაციის პროცესში გადამწყვეტი როლი სწორედ საფრანგეთის პოზიციამ ითამაშა. ევროინტეგრაციის ათვლის წერტილად 1950 წლის 9 მაისს მიიჩნევენ, როცა ფრანგი პოლიტიკოსის ჟან მონეს მიერ წამოყენებული წინადადება ოფიციალურად გააჟღერა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერ შუმანმა. საქმე ეხებოდა დასავლეთ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრიების გაერთიანებას. ჟან მონეს ინიციატივის თანახმად, ისტორიული მეტოქეები – საფრანგეთი და გერმანია უნდა გაერთიანებულიყვნენ სხვა ევროპულ ქვეყნებთან იმ მიზნით, რომ დამოუკიდებლად აღარ დაემუშავებინათ ქვანახშირი და ფოლადი. ჟან მონეს ეს წინადადება ეფუძნებოდა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ნებისმიერ ქვეყანას ომის საწარმოებლად სჭირდებოდა ფოლადი, რომლისგანაც მზადდებოდა საბრძოლო მასალა და ქვანახშირი – ქარხნებისა და რკინიგზის ენერგიით მოსამარაგებლად. სწორედ რომ ამ უმნიშვნელოვანესი რესურსების წარმოებისა და რეალიზაციის დაქვემდებარება საერთო ზეეროვნული ორგანოსთვის („უმაღლესი მთავრობისთვის“), მოემსახურებოდა უმთავრეს მიზანს – უზრუნველყოფდა გერმანიისა და საფრანგეთის მშვიდობიან თანაცხოვრებას და გააღრმავებდა ამ ორი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთდამოკიდებულებას. აღნიშნული ბელგიამ, იტალიამ, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმაც ირწმუნა და 1951 წელს დაარსდა „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება“. შეიქმნა ზეეროვნული დამოუკიდებელი მმართველი ორგანო და მისი დამაბალანსებელი ორგანოები – წევრი ქვეყნების მინისტრთა საბჭო, პარლამენტების წარმომადგენლებისაგან შემდგარი საპარლამენტო ასამბლეა, მართლმსაჯულების სასამართლო. დროთა განმავლობაში სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობამ, წინსვლამ ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში დაამტკიცა, რომ „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ შექმნა სწორად გადადგმული ნაბიჯი იყო. 1957 წელს თანამშრომლობა გავრცელდა ატომური ენერგეტიკის სფეროზე – შეიქმნა ატომური ენერგიის ევროპული გაერთიანება. ამასთანავე, ამ ქვეყნებმა 1957 წელს ხელი მოაწერეს

მთელი ეკონომიკური სისტემის დაახლოების ხელშეკრულებას. „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ მიზანი – შექმნილიყო ევროპის საერთო ბაზარი – გაერთიანებაში შემავალ ქვეყნებს გაუადვილებდა თანამშრომლობას ვაჭრობის სფეროში. იგულისხმებოდა იმ სირთულეების თავიდან აცილება, რომელიც შეეხებოდა ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში ტვირთის გადატანისას წარმოქმნილ პრობლემებს – საზღვარზე ტვირთის გაჩერებისა თუ ე.წ. საბაჟო მოსაკრებელის გადახდას. საერთო ბაზრის შექმნით, უქმდებოდა სასაზღვრო შემოწმებები და საბაჟო მოსაკრებელი. უნდა მოხსნილიყო ყველა შეზღუდვა საქონლის, მუშახელის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების თვალსაზრისით. შეიქმნა ეროვნული მთავრობების წარმომადგენლების ორგანო – მინისტრთა საბჭო. გაფართოვდა ადრე შექმნილი საპარლამენტო ასამბლეა და მართლმსაჯულების სასამართლო.

ევროპის კავშირმა წევრ სახელმწიფოებს მშვიდობიანი ურთიერთობების შესაძლებლობა მისცა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა საერთო იდეისა და კეთილდღეობის ფარგლებში თითოეული სახელმწიფო მიმართავს დიალოგისა და მოლაპარაკებების გზებს. საერთო ბაზრის შექმნიდან ცოტა ხნის შემდეგ „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ მოსახლეობამ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება შეიგრძნო. „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ ქვეყნები ერთად ზრუნავდნენ ევროპაში არსებული სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაზე, ეხმარებოდნენ გაერთიანებაში შემავალ შედარებით დაბალი განვითარების ქვეყნებს. შეიქმნა ყველა პირობა ევროპის შიგნით ადამიანების თავისუფლად გადაადგილებისათვის სამოგზაური და საცხოვრებელი მიზნებით. ყოველივე ამან კი განაპირობა გაერთიანების შემადგენლობაში კიდევ სხვა ქვეყნების გაწევრიანებაც. დროთა განმავლობაში, 1973 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები გახდნენ: დიდი ბრიტანეთი, დანია და ირლანდია (1973), საბერძნეთი (1981), პორტუგალია და ესპანეთი (1986), ავსტრია, ფინეთი და

შვედეთი (1995). განსაკუთრებულად საინტერესო იყო აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა ბედი „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, როცა დაინგრა ბერლინის კედელი და დაეშვა „რკინის ფარდა“ და კომუნისტურ-ტოტალიტარული წარსულის დაძლევა მოხერხდა ევროპის კავშირში გაწევრიანებით. ასეთმა სახელმწიფოებმა შეძლეს დაენახებინათ მთელი ევროპისათვის წარმომადგენლობითი დემოკრატიისა და თავისუფალი, კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები, ადამიანის უფლებების პატივისცემის უნარი. ყველაფერი ეს კი უპირობო საფუძველი იყო მათი ევროკავშირში გაწევრიანებისათვის. 2004 წელს გაერთიანებას შეუერთდნენ: ესტონეთი, ლიტვა, ლატვია პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი და ჩეხეთის რესპუბლიკა, 2007 – წელს რუმინეთი და ბულგარეთი, 2013 წელს – ხორვატია. დაიწყო ევროპულ ფასეულობებთან სხვა სახელმწიფოების დაახლოების პროცესიც. მათთვის სამაგალითო იყო ევროპის კავშირის შიგნით არსებული პრობლემების გადაწყვეტის საკითხი:

1. დახმარება რთული რეგიონებისათვის, სადაც არ არის საკმარისი სამუშაო ადგილები/ გარემო პირობები აფერხებს მეურნეობის განვითარების პროცესებს/ ზოგან, საკომუნიკაციო საშუალებების ნაკლებ განვითარებული ინფრასტრუქტურის გამო, გართულებულია სავაჭრო ურთიერთობები.

2. დახმარება ღარიბი ქვეყნებისათვის – მუშაობა აღნიშნული მიმართულებით, შეეხება მსოფლიო მასშტაბით არსებული დაპირისპირებების, ბუნებრივი კატაკლიზმების, ეპიდემიების შედეგად ცხოვრების დაბალი დონის მქონე სახელმწიფოებისათვის დახმარებას სხვადასხვა, მაგალითად, საგანმანათლებლო და სამედიცინო სფეროებში. ამასთანავე, ევროკავშირის სახელმწიფოები შეისყიდიან ღარიბ ქვეყნებში წარმოებულ პროდუქციას საბაჟო მოსაკრებლის გარეშე.

3. ზრუნვა ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე – ევროპის კავშირი მუდმივად ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, უკეთეს სამუშაო პირობებს, ეხმარება ადამიანებს წამოიწყონ ახალი ბიზნესი. შესაბამისად, ხარჯავს ფულს საჭირო კვალიფიკაციის მქონე კადრების გადამზადებისათვის.

4. გარემოს დაცვითი პრობლემების მოგვარება შეუძლებელია ცალკე აღებული რომელიმე ერთი ქვეყნისათვის. კლიმატის ცვლილების და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას ევროპის კავშირი ცდილობს წევრ-სახელწიფოთა შორის შეთანხმებებითა და სხვა ქვეყნების აქტიური ჩართულობითაც.

5. ევროპაში არსებული საერთო პრობლემების მოგვარება გაამარტივა წევრი სახელმწიფოებისათვის შემოღებულმა საერთო ვალუტამ – ევრომ. ერთიანი ფულადი ერთეულით სარგებლობამ გააადვილა ევროპის კავშირის ტერიტორიაზე მოგზაურობა, ბიზნესის წარმოება და გაზარდა სავაჭრო ბრუნვა.

6. და ბოლოს, ევროპის კავშირში მცხოვრებ ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს, ისწავლოს ან იმუშაოს მისთვის სასურველ წევრ-სახელმწიფოში. მაქსიმალურადაა გაადვილებული ევროკავშირის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადაადგილება, აქტიურადაა მხარდაჭერილი სტუდენტებისათვის სწავლის პროცესი ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების ფარგლებში.

ევროკავშირში გაწევრიანებით ახალმა წევრმა-სახელმწიფოებმა შეძლეს გაეღრმავებინათ ბაზრის ერთიანობა. თანმიმდევრულად და ეტაპობრივად ისპობა საქონლის, მომსახურების, მუშახელისა და კაპიტალის თავისუფლად გადაადგილებისათვის ხელისშემშლელი ყველა წინაღობა. ამჟამად, სახელმწიფოთა შორის გადაადგილება ისევე თავისუფალია, როგორც თავად ქვეყნებს შიგნით. ამიტომ ევროკავშირის ბაზარს დღეს უკვე არა საერთო ბაზრის, არამედ შიდა ბაზრის სახელით მოიხსენიებენ. შეიცვალა ორგანიზაციის დასახელებაც. 1993

წლიდან „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“ ჩაანაცვლა „ევროპის კავშირმა“, რადგან ის, ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური კავშირიცაა. ქვეყნები თანამშრომლობენ მართლწესრიგის დაცვის, უსაფრთხოებისა და საგარეო ურთიერთობების საკითხებში. თანდათანობით დაიხვეწა კავშირის სტრუქტურა, გადაწყვეტილებების მიღების წესები და პროცედურები. გაიზარდა ევროპული პარლამენტის როლი და უფლებამოსილება. საკონსულტაციო ორგანოდან ის საკანონმდებლო ორგანოდ გადაიქცა, ამტკიცებს ევროკავშირის ბიუჯეტს და ზედამხედველობს ევროკომისიის საქმიანობას. შეიცვალა ევროპარლამენტის დაკომპლექტების წესი. თუ თავდაპირველად მასში იკრიბებოდნენ ეროვნული პარლამენტების წარმომადგენლები, ამჯერად ისინი პირდაპირი წესით, ევროპის სახელმწიფოთა მოქალაქეების მიერ აირჩევიან. თუმცა სიკეთეებთან ერთად, არის გარკვეული პრობლემებიც. 2015 წელს მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა სირიის ომის სახით, ევროპაში გაზარდა ლტოლვილთა ნაკადი, რისი შედეგიც იყო დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება ევროკავშირიდან გასვლის შესახებ. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ დატოვების პირველი პრეცედენტის მიუხედავად, ალტერნატივა არ აქვს ევროპის სახელმწიფოების მჭიდრო თანამშრომლობას, რადგან მხოლოდ თანაარსებობა და კოოპერაცია განაპირობებს მასში მშვიდობას, უსაფრთხოებას, ეკონომიკურ განვითარებასა და მოქალაქეების კეთილდღეობას.

ევროკავშირში გაწევრიანების პირობები

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 49-ე მუხლში მითითებულია, რომ ევროპულ კავშირში გაწევრების შესახებ განაცხადის შეტანა შეუძლიათ იმ ევროპულ სახელმწიფოებს, რომლებიც პატივს სცემენ და მხარს უჭერენ დემოკრატიას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას და კანონის უზენაესობას, უმცირესობის უფლებებს.

ასევე, ქვეყანას უნდა ჰქონდეს მოქმედი საბაზრო ეკონომიკა და კონკურენტუნარიანი იყოს ევროპის შიდა ბაზარზე.

1993 წელს, ევროპულმა საბჭომ კოპენჰაგენის სამიტზე აღიარა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების უფლება, შეუერთდნენ ევროპის კავშირს, თუ დააკმაყოფილებენ შემდეგ სამ კრიტერიუმს:

პოლიტიკური – ქვეყნებს აქვთ სტაბილური ინსტიტუტები. ისინი პასუხს აგებენ დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებზე, უმცირესობების პატივისცემაზე. იმისათვის რომ ევროპის კავშირში გაწევრების მსურველმა ქვეყანამ დაიწყოს დიალოგი გაწევრების შესახებ, იგი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს პირველ კრიტერიუმს.

ეკონომიკური – ქვეყნებში ვითარდება საბაზრო ეკონომიკა და შეუძლიათ გაუმკლავდნენ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ კონკურენტულ გარემოსა და სხვა გამოწვევებს.

სამართლებრივი – ქვეყნებისათვის მისაღებია ევროკავშირში დაწესებული კანონები და სამართლებრივი პრაქტიკა.

ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებთან ერთად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ***გეოგრაფიული*** კრიტერიუმი, რადგან 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულების მიხედვით, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას შეუძლია განაცხადოს ევროკავშირის წევრობის სურვილი, თუ იგი პატივს სცემს ევროკავშირის დემოკრატიულ ფასეულობებს და მზად არის მათი პოპულარიზაცია-იმპლემენტაციისათვის. ამასთანავე, არ არის მოცემული რაიმე დაზუსტება არაევროპული ქვეყნების დაახლოება-მიღებასთან დაკავშირებით.

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების ქრონოლოგიიდან

იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებმაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აშკარად გამოხატა ქვეყნის შემდგომი განვითარების პროდასავლური პოლიტიკური კურსი, საქართველოცაა.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებებს ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობისა და თანამშრომლობისაკენ. ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა შეთანხმდნენ, რომ გააგრძელებენ ერთად მუშაობას საქართველოს პოლიტიკური ასოციაციის კიდევ უფრო გაღრმავებისა და ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით. ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეხმარება ქართულ სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებასა და მოდერნიზაციაში. ევროკავშირი ის ორგანიზაციაა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს უსაფრთხოებას და დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას. ევროკავშირში გაწევრიანება არის უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის შესაძლებლობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

საინტერესოა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მოკლე ქრონოლოგია:

- ევროკავშირთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობები იწყება 1992 წლიდან. სწორედ ამ დროიდან მოყოლებული ხორციელდებოდა ახლად დამოუკიდებელი ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დემოკრატიის განმტკიცების პროცესის ხელშეწყობა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამით – TACIS. იკვეთებოდა ევროკავშირის ეკონომიკური დახმარების სამი ძირითადი მიმართულება: საფინანსო დახმარება, ჰუმანიტარული

დახმარება (სასურსათო დახმარების სახით) და ტექნიკური დახმარება. [1]

- 1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში ევროკავშირსა და საქართველოს შორის დაიდო პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება – „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ (PCA) – რომელიც წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებდა პოლიტიკურ დიალოგს საქართველოსა და ევროკავშირს შორის; საქართველოში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის, მხარეებს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების, რეგულაციური, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური, სამეცნიერო, ტექნოლოგიური და კულტურული თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობას.
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებულ უამრავ ქრონოლოგიურ ნიშნულს შორის აღსანიშნავია *ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP)* და *აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა (EaP),* რომელმაც დასაბამი მისცა მთელ რიგ მიღწევებს საქართველო–ევროკავშირის ურთიერთობების საკითხში.
- 2004 წელს საქართველო გახდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ბენეფიციარი.
- 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ევროპული კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებითა და ჩარევით შესაძლებელი გახდა საომარი მოქმედებებისა და ოკუპაციის გეოგრაფიული გაფართოების შეჩერება.
- 2009 წელს საქართველო გახდა ევროპული კავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მონაწილე

1 ევროკავშირ-საქართველოს შემდგომი ურთიერთობების პროცესში TACIS 2007 წელს ჩაანაცვლა ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტმა (ENPI), ეს უკანასკნელი კი 2014 წელს შეიცვალა ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტით (ENI).

(აზერბაიჯანთან, ბელარუსთან, მოლდოვასთან, სომხეთთან და უკრაინასთან ერთად).

- **2014 წელს ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას (AA).** ამიერიდან, საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის მყარდება **პოლიტიკური ასოცირება** და იწყება მოქმედებები **ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA)** ჩამოყალიბებისთვის.
- **2017 წელს, ევროპულმა კავშირმა, საქართველოს მოქალაქეებს მისცა შესაძლებლობა უვიზოდ შევიდნენ და თავისუფლად გადაადგილდნენ შენგენის ზონაში.**

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP)

2003 წლიდან ევროკავშირის საკვანძო და პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს ევროკავშირის პარტნიორების სახელმწიფოებრივი და სოციალური მდგრადობის გაძლიერება. ევროკავშირმა შექმნა განვითარებისა და კეთილმეზობლობის ზონა, ე.წ. „მეგობართა სარტყელი". საუბარია ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქვეყნებთან, რუსეთთან და ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ევროკავშირის ურთიერთობების შემდგომი განვითარების ჩარჩოების შემუშავებაზე. ამასთან, ევროკავშირი ითვალისწინებს „სამეზობლო ინიციატივაში" მონაწილე ქვეყნების ევროკავშირთან ურთიერთობების სხვადასხვა დონეს და თავის ახალ სამეზობლო პოლიტიკას ხსენებულ ქვეყანათა მიმართ დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე ახორციელებს. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა საგარეო პოლიტიკაა მეზობელი სახელმწიფოების მიმართ, რომელიც შემუშავდა 2004 წელს ევროკავშირის გაფართოების გაფართოებულ ევროპასა და ახალ მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების თავიდან აცილებისა და სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ერთ-ერთი საბაზისო პრინციპია დაეხმაროს მეზობელ ქვეყნებს შიდა რეფორმების განხორციელებაში თანასწორი თანამშრომლობისათვის.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა განსხვავდება ევროკავშირის პოტენციური წევრობის საკითხისგან. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა წარმოადგენს გაფართოების ალტერნატივას და აწესებს პრივილეგირებულ ურთიერთობას ევროკავშირის მეზობელი ქვეყნებისათვის. თანამშრომლობა ეფუძნება საერთო ფასეულობებზე ურთიერთვალდებულებების აღებას შემდეგ სფეროებში: კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, უმცირესობათა უფლებები, კარგი სამეზობლო ურთიერთობები, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მდგრადი განვითარება. ევროკავშირი დახმარებას უწევს სამეზობლო რეგიონის პარტნიორებს, ძირითადად, ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის (ENI) მეშვეობით, რომლითაც 2014-2020 წლებისთვის დაგეგმილი ღონისძიებები 15 მილიარდ ევროს შეადგენს. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე, მათ შორის, საქართველოზე, გავრცელდა 2004 წლიდან, 2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ჩვენს ქვეყანაზე გავრცელების შემდეგ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობამ თვისობრივად ახალი პერსპექტივა შეიძინა. ევროკავშირმა შემოგვათაზა პრივილეგირებული ურთიერთობები, იგი გასცდა უბრალო თანამშრომლობის ფარგლებს და მჭიდრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციაში გადაიზარდა. სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, 2007 წლიდან ამოქმედდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტი (ENPI) — ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობდა სამეზობლო პოლიტიკის კონკრეტული ფინანსური აქტივობებით მხარდაჭერას. 2007 წელს, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში, საქართველოსთვის 24 მილიონი ევრო გამოიყო სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული სფეროების რეფორმირებისათვის. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის კონფლიქტებთან დაკავშირებული პაკეტიდან, ევროკომისიამ საქართველოსთვის დამატებით გამოყო 500 მლნ. ევრო, რომლის ძირითადი ნაწილი იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას მოხ-

მარდა. 2011 წლიდან ამოქმედდა ახალი ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი, რომელმაც 2014-2020 წლებში ევროკავშირის საზღვრებიდან 16 პარტნიორ ქვეყანას აღმოუჩინა დახმარება. აღნიშნული ინსტრუმენტი საქართველოში 2015 წლიდან ამოქმედდა.

პარტნიორი ქვეყნების წახალისების მიზნით, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი ეფუძნება დიფერენცირების მეთოდს და „მეტი მეტისთვის" პრინციპს გამოიყენებს: განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ქვეყნებს, რომლებიც კანონის უზენაესობის პრინციპზე რეალურად აშენებენ ძლიერ და მდგრად დემოკრატიას. ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი ასახავდა კიდეც ქვეყნის ამბიციის დონეს ევროკავშირთან პარტნიორობის თვალსაზრისით, მის პროგრესს დემოკრატიის მშენებლობასა და რეფორმების განხორციელების მხრივ შეთანხმებული მიზნების შესრულებაში.

აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP)

„აღმოსავლეთ პარტნიორობის" (Eastern Partnership – EaP) ინიციატივა, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) თანამშრომლობის ახალი ფორმატი, ძალაში შევიდა 2009 წლიდან.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა" არ არის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა. მან, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით, ხელი შეუწყო პარტნიორი ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას. ინიციატივის მთავარი მიზანია ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხორციელების ხელშეწყობა, თუმცა „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა" უფრო შორს წავიდა და პარტნიორ ქვეყნებს, ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით, კონკრეტული პერსპექტივები

შესთავაზა – შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოყენება პარტნიორ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის, ასევე, რეფორმების ტემპისა და შედეგების გათვალისწინებით.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ურთიერთობა განვითარდა ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატში, რომელიც მიზნად ისახავდა დასახული მიზნების მიღწევას ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით. ორმხრივი თანამშრომლობა, ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის, ითვალისწინებდა თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას, რაც მოიცავდა: „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასთან“ (PCA) შედარებით, ახალი, უფრო ფართო საკონტაქტო ურთიერთობების ჩამოყალიბებას გაღრმავებული შეთანხმებების – ასოცირების შესახებ შეთანხმებების (Association Agreements) გაფორმების გზით, რაც პასუხობდა თითოეული პარტნიორი ქვეყნის სწრაფვას ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისკენ. ასეთი შეთანხმებები გაფორმდა იმ ქვეყნებთან (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა), რომლებიც მზად იყვნენ საკუთარ თავზე აეღოთ შესაბამისი დონის ვალდებულებები; შეექმნათ ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონები, დაფუძნებული თითოეულ ქვეყანასთან გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებებზე (Deep and Comprehensive Free Trade Areas), როგორც ასოცირების შესახებ შეთანხმების განუყოფელ ნაწილზე; ხელი შეეწყოთ უსაფრთხო გარემოში მოქალაქეთა მობილურობისათვის. ამ მიზნით, ევროკავშირმა პარტნიორ ქვეყნებთან, მათ შორის, საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულებები (Visa Facilitation and Readmission Agreements) გააფორმა. თანმიმდევრული ნაბიჯები გადაიდგა უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებისათვის.

ევროკომისიის მიერ, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ განხორციელების მიზნით, გამოიყო მილიონობით ევრო, როგორც ნაწილი ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუ-

მენტისა (ENPI). კონკრეტული თანამშრომლობის საკითხები განლაგდა ოთხ პლატფორმაზე:

I პლატფორმა – დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა;

II პლატფორმა – ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

III პლატფორმა – ენერგოუსაფრთხოება;

IV პლატფორმა – ხალხთა შორის კონტაქტები.

საქართველომ წარმატებით დაძლია აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში დასახული მიზნები, რაც შემდგომში ფართოდ აისახა ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულების პრაქტიკულ რეალიზაციაში. ამას მოწმობს 2018-2019 წლებში სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ საქართველოში ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასების შესახებ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები, რომელთა მიხედვით მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას.

გამოყენებული წყაროები:

www.europe.eu

www.europe-today.eu

www.op.europa.eu

www.eesc.europa.eu

www.consilium.europa.eu/media/44400/685-annex-5-d-georgia-factshee

https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/policy/conditions-membership_en

https://europarl.europa.eu/

http://old.infocenter.gov.ge/

https://netgazeti.ge/news/267661/

http://www.epfound.ge/wp-content/uploads/2019/09/EU-2019-Final-GE.pdf

ეკატერინე ქარდავა

ევროპული ინტეგრაციის არჩევანი – ოფიციალურად აღიარებული და დადასტურებული საქართველოს მიერ

ევროპული კავშირი აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოსათვის ევროპული კავშირი არის სტრატეგიული პარტნიორი. საქართველო ჩართულია ევროპული კავშირის დახმარებების პროგრამებში. ყოველწლიურად ევროპული კავშირი საქართველოს ეხმარება, სულ მცირე, 100 მილიონი ევროს ოდენობით. ამავდროულად, ევროპული კავშირის მხრიდან დახმარებები არ შემოიფარგლება მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერით, არამედ, პოლიტიკური, ტექნიკური, ჰუმანიტარული და სხვა.

1. საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლში აღნიშნულია:

„კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.“

2. საქართველოს 2019-2022 წლების საგარეო პოლიტიკის სტრატეგია:

„2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს და მათი განხორციელების გზებსა და მექანიზმებს. ეს არის საქართველოს საგარეო პოლიტიკის პირველი სტრატეგია, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ეროვნული დონის დოკუმენტია.“

„მიზანი 2: ევროკავშირში გაწევრიანება“

„საქართველოს ეროვნული ინტერესები:

1. სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა
2. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება
3. ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის განვითარება
4. ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება
5. **ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია**
6. ეკონომიკის სტაბილური გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა
7. ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა
8. რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა
9. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება
10. საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა
11. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული და კულტურული თვითმყოფობის უზრუნველყოფა
12. კიბერუსაფრთხოების განმტკიცება
13. დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა
14. დიასპორებთან ურთიერთობა“.

„საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა
2. სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება.

3. ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება
4. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის განვითარება
5. **ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრება და ევროკავშირში ინტეგრაცია“**

... (და სხვა).

3. „ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის 2017-2020 წლებისთვის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის №765 განკარგულება:

ძირითადი გზავნილები

ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შესაბამისი გზავნილების შემუშავება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე ხორციელდება: საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგების, სამიზნე ჯგუფების ანალიზის, ძირითადი არასწორი აღქმისა და საზოგადოებაში არსებული ინფორმაციის ნაკლებობის, ასევე სამოქმედო გეგმის ანგარიშის ანალიზის საფუძველზე.

სტრატეგიული კომუნიკაცია ხორციელდება შემდეგი ძირითადი გზავნილების საფუძველზე:

ეროვნულ დონეზე:

- ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების პროცესში მიმდინარე, განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური და ფართომასშტაბიანი რეფორმები აძლიერებს საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და თავდაცვისუნარიანობას;
- საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების პროცესი ხელს უწყობს ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის საჭირო უსაფრთხო და კონკურენტული გარემოს შექმნას;

- საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების პროცესი უზრუნველყოფს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, საერთო ღირებულებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვას, მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას;
- საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების პროცესი ხელს უწყობს უცხოური ინვესტიციების ზრდას, უმუშევრობის შემცირებასა და საქართველოს თითოეული მოქალაქის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

საერთაშორისო დონეზე:

- საქართველოს, როგორც ევროპული კულტურისა და ღირებულებების მატარებელ ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ და ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანას, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში;
- საქართველო წარმოადგენს დემოკრატიული განვითარების წარმატებულ მაგალითს ევროკავშირისა და ნატოს აღმოსავლეთ სამეზობლოში;
- ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება ხელს შეუწყობს საქართველოში დემოკრატიის სწრაფ კონსოლიდაციას და რეგიონში დემოკრატიული პროცესების განვითარებისკენ სწრაფვას;
- საქართველო სანდო პარტნიორია, წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანს, რომელიც, მათ შორის, ხელს უწყობს ევროპის ენერგოუსაფრთხოებას.

4. საქართველოს მთავრობის 2017 წლის №533 დადგენილებაში „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021-ის“ დამტკიცების შესახებ“ აღნიშნულია:

სტრატეგია ორიენტირებულია განათლების სფეროში ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან დაახ-

ლოებაზე, რაც დაკავშირებულია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებისას ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) მოთხოვნების გათვალისწინებასთან... სტრატეგიის დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს პროფესიული განათლებისა და გადამზადების ევროპულ კრედიტების სისტემის (ECVET) ეტაპობრივ დანერგვას საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში.

2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ცალკეული თავებით განისაზღვრა მეცნიერებისა და განათლების სფეროში ევროკავშირთან საქართველოს თანამშრომლობა. კერძოდ, შეთანხმების მე-12 თავი ითვალისწინებს თანამშრომლობას კვლევის, ტექნოლოგიების განვითარებისა და დემონსტრირების სფეროში, ხოლო მე-16 თავში მოცემულია განათლებას, ტრეინინგსა და ახალგაზრდობის მიმართულებით თანამშრომლობის თემები. აგრეთვე, საქართველოს საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროსთვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის 77 მილიარდიანი ფონდი, რომლის წევრიც საქართველო 2016 წელს გახდა და რომლის ფარგლებშიც, კონკურსის წესით, უკვე დაფინანსდა ქართული ორგანიზაციების მიერ წარდგენილი 17 პროექტი, 5.2 მლნ. ლარზე მეტი ჯამური ღირებულებით. ამასთან, ქვეყანას უბრუნდება გადახდილი საწევროს ნახევარი, მეცნიერების შემდგომი განვითარების მიზნით.

საქართველო აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის პროგრამაში ERASMUS+ და 131 პარტნიორ ქვეყანას შორის მე-8 ადგილს იკავებს წარმატებული პროექტების კუთხით. შედეგად, 2015 წლიდან 1500-ზე მეტი საქართველოს მოქალაქეობის მქონე სტუდენტის სწავლა დაფინანსდა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. 2016 წელს ERASMUS+ მობილობის პროგრამებ-

ში საქართველომ მოიპოვა 1465 სტიპენდია. კრედიტების მობილობის პროგრამით მოპოვებულია 1333 სტიპენდია. სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსდა 483 საქართველოს მოქალაქის სწავლა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში.

საქართველოს ვითარება და საჭიროებები პოსტ–საბჭოთა ეპოქაში და ევროპულ კავშირთან პარტნიორობის მნიშვნელობა

უკანასკნელი 30 წლის მანძილზე, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეებიდან მოყოლებული, საქართველომ გადაიტანა რამდენიმე ომი, შეიარაღებული კონფლიქტი, პოლიტიკური და ეკონომიკური შევიწროება. შედეგად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. საქართველოს ეკონომიკა კი დროდადრო მნიშვნელოვან ნეგატიურ ზეგავლენას განიცდის. იარაღით, მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვით, მიწების მიტაცებით, სისხლისღვრით, ძალის დემონსტრირებით, მტერი მუდმივად ასუსტებს საქართველოს სუვერენიტეტს, ხელყოფს ტერიტორიულ მთლიანობას, ხელს უშლის დემოკრატიულ პროცესებს, კეთილდღეობის ზრდას, განვითარებას, დამოუკიდებლობას, თავისუფლებას; რუსეთის ფედერაციის მხრიდან ჩვენ სუვერენულ ყოფაში ჩარევის შედეგები მტკივნეულია: უმუშევრობა, სიღარიბე და ა.შ. იმის გამო, რომ საქართველოს სურს იყოს დამოუკიდებელი, გამთლიანებული, ცივილური, ღია და გახსნილი მსოფლიო ხალხებისა და ნებისმიერი სახელმწიფოების მიმართ, მას ებრძვის მეზობელი.

საერთაშორისო დოკუმენტებით აღიარებულია ქართველთა ეთნიკური წმენდა აფხაზეთში.

ასეთ ყოფაში, პარტნიორებისა და პოლიტიკური მეგობრების გარეშე, საქართველოს გაუჭირდებოდა გადარჩენა და ღირსეუ-

ლი სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაგრძელება. დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველი დღიდან, პატარა საქართველოს გვერდით დადგნენ ისეთი დიდი მსოფლიო მოთამაშეები, როგორებიცაა ევროპული კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) და დანარჩენი დემოკრატიული სამყარო. მათი მხრიდან დახმარება პოლიტიკური, ფინანსური, ტექნიკური და ჰუმანიტარული ხასიათისაა.

ადამიანებს, ორგანიზაციებს, სახელმწიფოებს შორის ნებისმიერი ურთიერთობა და შეთანხმება ეფუძნება საერთო ინტერესების არსებობას, ურთიერთპატივისცემას, ურთიერთსარგებლიანობას, ურთიერთმხარდაჭერას. ამდენად, ევროპულ კავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორული ურთიერთობები, მათ შორის, ასოცირების შეთანხმების დადება, განპირობებულია ორივე მხარისათვის სასარგებლო მიზნების მიღწევით. ერთი მხრივ, ევროკავშირს სურს მშვიდობა, სტაბილურობა, უსაფრთხოება თავის სამეზობლოში, ამავდროულად, სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების გაფართოება; მეორე მხრივ, საქართველოს სურს პოსტ-საბჭოთა ეპოქაში სახელმწიფოებრიობის გაძლიერება, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის სრული და ეფექტური უზრუნველყოფა, ომის შედეგების განეიტრალება, ძლიერი საჯარო და კერძო სექტორის ჩამოყალიბება, ბიზნესის, წარმოებისა და ვაჭრობის გაფართოება, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა, განათლების ხარისხის გაძლიერება, ადამიანის კეთილდღეობისა და განვითარებისათვის კარგი პირობების შექმნა. ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევაში საქართველო და ევროპული კავშირი ერთმანეთს ეხმარებიან. რა თქმა უნდა, დახმარების მოცულობა, სახეები და შესაძლებლობები განსხვავებულია. საქართველო, განსაკუთრებით საჭიროებს სერიოზული ფინანსური და ტექნიკური რესურსებით მხარში ამოდგომას, რათა ააშენოს ახალი ტიპის დემოკრატიული და ცივილური სახელმწიფო, განავითაროს ინფრასტრუქტურა (სატრანსპორტო, საგზაო, წყლის, წყალარინების, სასკოლო და სხვა), შექმნას ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები წარმოების სფეროში და ა.შ.

ევროპული კავშირის დახმარებით განხორციელებული პროექტების შინაარსი

24 წელზე მეტია, ევროპული კავშირი საქართველოს უწყვეტად, ყოველწლიურად ეხმარება და ეს დახმარება კოლოსალურია. ევროპული კავშირის დახმარებით, ხელშეწყობით, დაფინანსებით ან თანამონაწილეობით დაიწყო საქართველოსათვის სასიკეთო სხვადასხვა პროექტი:

- სკოლების აშენება და გარემონტება;
- გზების დაგება;
- სატრანსპორტო სფეროს გაუმჯობესება, მათ შორის, კეთილმოწყობილი საზოგადოებრივი ტრანსპორტის რაოდენობის ზრდა;
- განათლების ხარისხის გაუმჯობესება და ახალი შესაძლებლობების მიცემა საქართველოს მოქალაქეებისათვის, მათ შორის, უფასოდ სწავლება საზღვარგარეთ, სტიპენდიების გაცემა და სხვა.
- ეთნიკური უმცირესობების, დევნილთა ან/და ლტოლვილთა მხარდაჭერითი ღონისძიებები, „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება და ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმების შექმნა;
- სხვადასხვა ბიზნესის დაფინანსება და გაძლიერება, მათ შორის, სოფლის მეურნეობის სფეროში;
- სახელმწიფო სერვისების განვითარება (ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურება, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, კრიზისების მართვა, სხვა);
- მეცნიერების სფეროს გაძლიერება;
- შრომის ინსპექციის მექანიზმის ჩამოყალიბება და დასაქმებულთა უსაფრთხოების დაცვის გაძლიერება;
- საქართველოს ჩართვა და ინტეგრირება მსოფლიო და

რეგიონული მასშტაბის პროგრამებში, მათ შორის, გაზისა და ნავთობის მარშრუტების დივერსიფიცირების პროექტებში (აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მჭიდრო პარტნიორობით);

- სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და მოვლა;
- პროკურორების, მოსამართლეების, სხვა პროფესიის პირების გადამზადება-დატრენინგება.
- საზღვარგარეთ მყოფი პირების საქართველოში ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობა.
- სხვა მარავალი.

ასეთი დახმარებების საფუძველზე, საქართველომ მოახერხა და შეძლო აეშენებინა სრულიად ახლებური სახელმწიფო. იგი გახდა ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანა, გაუმკლავდა ომებს, განავითარა ტურიზმი, მთელს მსოფლიოს გააცნო საქართველოს კულტურა, ბუნებრივი სილამაზე და სიმდიდრე, ისტორიული სიდიადე, აწარმოა პროდუქტები და გაიტანა მსოფლიოს სხვადასხვა ბაზარზე. მიუხედავად მრავალი ომისა, საქართველომ ვაჟკაცურად, ჯიუტად, თავდადებით შეძლო ფეხზე წამოდგომა, არ უღალატა არც საკუთარ არჩევანს და ბოლომდე უერთგულა პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერასაც.

ახალი გამოწვევები ევროპული ინტეგრაციის პროცესში

თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ეპოქაში, გაჩნდა ახალი ომის სახეც – ინფორმაციული ომი, ჰიბრიდული ომი. საქართველოში დაიწყო ყალბი ინფორმაციების გავრცელება ევროპულ კავშირზე. მტერმა, იარაღით რომ ვერ მოახერხა, გადაწყვიტა საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის ურთიერთობის მოშლა ცრუ ამბებით: დაიწყო საქართველოს მოქა-

ლაქეთა დარწმუნება იმაში, რომ ევროპული კავშირი გვართმევს ენას, კულტურას, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს და სხვა. საქართველოს ხელისუფლებამ აქაც მყისიერი მოქმედება დაიწყო, გონიერებითა და ჰუმანიზმით წამოიწყო სტრატეგიული კომუნიკაციის პროცესები ახალი გამოწვევის წინააღმდეგ.

ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების თანაცხოვრების წესრიგი

ევროპული კავშირი არის 27 ევროპული სახელმწიფოს გაერთიანება, სადაც ერთობლივად მიიღება გადაწყვეტილებები. მიღებული გადაწყვეტილებები თითოეული ქვეყნის ინტერესშია და ყველასათვის სასარგებლოა. ევროპული კავშირის ყველა წევრ ქვეყანას აქვს საკუთარი სახელმწიფო ენა, ისტორია, კულტურა, ცხოვრების წესი, კონსტიტუცია, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, ადათები. მათი დამოუკიდებლობა და ინდივიდუალიზმი დაცულია.

27 ევროპული ქვეყანა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ისინი წარსულში ერთმანეთს ეომებოდნენ და მტრობდნენ კიდეც, მაგრამ მათ შეძლეს კონსტრუქციული დათმობითა და ურთიერთსასარგებლო ერთობლივი ქმედებებით მშვიდობის, კეთილდღეობის, მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების სივრცის აშენება, სადაც ნებისმიერი ადამიანი თავს დაცულად გრძნობს.

ევროპული კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ერთმანეთი გააძლიერეს ისე, რომ შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, ენა, კულტურა, ადათები.

ევროპული კავშირის თავისუფალი შიდა ბაზარი

ევროპულ კავშირში, 27 ევროპულ სახელმწიფოს აქვს საერთო თავისუფალი შიდა ბაზარი. ეს ნიშნავს, რომ ყველა ევროპულმა სახელმწიფომ ერთმანეთის მიმართ გააუქ-

მა შეზღუდვა საქონლისა და მომსახურების გადაადგილების სფეროში. წარსულში თითოეულ სახელმწიფოს ჰქონდა საკუთარი საბაჟო კანონმდებლობა, ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაკრებლები, გადასახადები, წესები, რაც ხელს უშლიდა ეფექტურ ვაჭრობას ერთმანეთში. ხშირად, ეს წესები იყო დისკრიმინაციული და პროტექციონისტული. საბოლოოდ, ევროპული კავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ნებისმიერი ხელისშემშლელი და შემზღუდველი ბარიერები გაეუქმებინათ. მათ ერთმანეთის მიმართ საერთო და თანასწორი წესი დაადგინეს. დღეს, ევროპული კავშირის ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში ბიზნესს, მოვაჭრეს, ნებისმიერ პირს თავისუფლად და ლეგალურად გადააქვს საქონელი, აწარმოებს და ყიდის. ევროპული კავშირის შიდა ბაზარზე ყველა წესი ყველა სახელმწიფოს (დიდი თუ პატარა), ყველა იურიდიული პირისა და ფიზიკური პირის მიმართ თანასწორად მოქმედებს. ამან განაპირობა ბიზნესის გაძლიერება, წარმოების განვითარება, ვაჭრობის ზრდა, მეტი სამუშაო ადგილების შექმნა, კეთილდღეობისა და კაპიტალის მატება ადამიანებისათვის.

ევროპული კავშირის შიდა ბაზარი 500-მილიონიანი სამომხმარებლო თავისუფალი ბაზარია. დღეს, მთელი მსოფლიო ცდილობს, საკუთარი წარმოების შედეგები (საქონელი, მომსახურება) ევროპული კავშირის შიდა ბაზარზე გაიტანოს და გაყიდოს. ევროპული კავშირის გარეთ მყოფ ქვეყნებს (მესამე ქვეყნებს) არ სჭირდებათ ცალ-ცალკე მოლაპარაკება ევროპული კავშირის ქვეყნებთან ვაჭრობის მიზნით, რამეთუ ევროპული კავშირის წევრ ქვეყნებში შიდა ბაზრის ერთი წესი მოქმედებს. ამრიგად, მესამე ქვეყნებს შეუძლიათ შეუთანხმდნენ უშუალოდ ევროპულ კავშირს და მის ნებისმიერ ქვეყანაში ისარგებლონ საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილებით. საქართველოს, საფრანგეთში შეიტანს საქონელს თუ ლატვიაში, ყველგან ერთი საბაჟო წესრიგი ხვდება. ამ ფაქტორმა, ევროპული კავშირის შიდა ბაზარი ძალიან მომხიბვლელი და ეფექტური გახადა. შიდა ბაზრის ასეთი ორგანიზების გამო, ევროკავშირი ერთ-ერთ ყველაზე დიდ ეკონომიკად ითვლება.

ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA-ის ფარგლებში, საქართველოსათვის იხსნება უდიდესი შესაძლებლობები ევროპული კავშირის შიდა ბაზრის მიმართულებით.

ასოცირების შეთანხმება (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DCFTA)

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ და ევროპულმა კავშირმა ხელი მოაწერეს ასოცირების შეთანხმებას. 2014 წლის 18 ივლისს საქართველომ განახორციელა ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება. ასოცირების შეთანხმება დროებითი გამოყენების რეჟიმის ძალით ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბერს, ხოლო სრულად ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისს.

2014 წელს, ასოცირების შეთანხმების დადებით, საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის დაიწყო გაღრმავებული ურთიერთობების ეპოქა – პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციისა, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩამოყალიბებისა.

ასოცირების შეთანხმება არის საქართველოს მომავალში ინვესტირების უდიდესი შესაძლებლობა. იგი წარმოადგენს საქართველოს საშინაო რეფორმების განხორციელების დოკუმენტს, რისი შედეგიც უნდა იყოს მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტით დაცვა, კანონის უზენაესობა, წარმოების და კეთილდღეობის ზრდა, სოციალური განზომილების გაძლიერება, ღირსეული შრომა და დასაქმება ყველასათვის, თაობებს შორის კონსოლიდაცია (ახლანდელი თაობების პასუხისმგებლური და კეთილსინდისიერი ქცევა მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის). **ამ შედეგების მისაღწევად, ასოცირების შეთანხმებით დადგენილია შინაარსობრივი ვალდებულებები, რაც საქართველომ უნდა განახორციელოს და ვადები, როდის უნდა განახორციელოს. საქართველომ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში უნდა ასახოს ევროპული**

სტანდარტები. ამ პროცესს ეწოდება სამართლებრივი დაახლოება/სამართლებრივი აპროქსიმაცია.

ასოცირების შეთანხმება მოცულობით დიდია, დაახლოებით 1000 გვერდზეა გადმოცემული. ასოცირების შეთანხმების დანართებში კი გაწერილია ეროპული კავშირის 300-ზე მეტი კანონმდებლობის ჩამონათვალი, რომელსაც საქართველო უნდა დაუახლოვდეს. საქართველომ დაახლოება (აპროქსიმაცია) მხოლოდ საქართველოს ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ უნდა განახორციელოს. ამიტომაც, სისტემატურად უნდა შემოწმდეს ევროპულ ასოცირებას აქვს თუ არა ჯანსაღი, ეფექტური და სასიკეთო შედეგები. ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს პროგრესის მუდმივ მონიტორინგს. ამ მონიტორინგს ახორციელებს თავად საქართველოს ხელისუფლება, ევროპული კავშირი და სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა (არასამთავრობო სექტორი, კერძო სექტორი, ექსპერტები).

DCFTA არის თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება, რომელიც ასოცირების შეთანხმების ნაწილია (კერძოდ, IV კარი). სხვა სიტყვებით, DCFTA არის ქართული წარმოების განვითარებისა და გაძლიერების შესაძლებლობა, ისეთი ბაზრის ჩამოყალიბებისა და შექმნის შესაძლებლობა, სადაც დაცული იქნება, როგორც ბიზნესის ინტერესები, აგრეთვე, გარემოსდაცვითი ინტერესები და სოციალური ინტერესები. **ევროპულმა კავშირმა შექმნა და ჩამოაყალიბა ისეთი მდგრადი და თავისუფალი ბაზარი, სადაც თანაბრად დაცულია ბიზნესის და ადამიანის მოთხოვნილებები, სადაც ეკონომიკა და ვაჭრობა ადამიანს ემსახურება და, პირიქით, ადამიანი, თავისი უნარით, ინტელექტით, განათლებითა და შესაძლებლობებით ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ორივე ერთად კი ქმნის კაპიტალს და კეთილდღეობას, აშენებს ძლიერ სახელმწიფოს და საზოგადოებას. ბაზრის ასეთი მოდელი უნიკალურია.**

DCFTA-ის თანახმად, ნებისმიერმა ინვესტორმა უნდა განახორციელოს ისეთი საქმიანობა, სადაც დაცული იქნება:

- საქართველოს ბუნება (წყალი, ჰაერი, მიწა, მცენარეები),

რაც საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გარანტია;

- ნაყოფიერი დასაქმებისა და ღირსეული შრომის პრინციპი, რაც საქართველოს მოქალაქეებს მისცემს შესაძლებლობას ჰარმონიულად დააბალანსონ პროფესიული და პირადი/საოჯახო ცხოვრება, მიიღონ შემოსავალი და გაზარდონ საკუთარი კეთილდღეობა;
- მეწარმოების თავისუფლება, რაც ბიზნესს შეუქმნის თავისუფალი განვითარებისა და მოქმედების პირობებს, სადაც ბიზნესი იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების პატივისცემით, სადაც დიდი ბიზნესი არ დაჩაგრავს პატარა ბიზნესს, სადაც ყველა ბიზნესს ექნება ერთნაირი შესაძლებლობა განვითარებისა, სადაც სახელმწიფო ყველა ბიზნესის მიმართ იმოქმედებს თანასწორად და ობიექტურად, სადაც სახელმწიფო დაეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს.

DCFTA, აგრეთვე, ითვალისწინებს ევროკავშირის შიდა ბაზარზე საბაჟო შეღავათების მინიჭებას მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომელიც წარმოშობილია საქართველოში. ე.ი. ევროპული კავშირი უდიდეს მოტივაციას აძლევს საქართველოს და ქართულ ბიზნესს – სთავაზობს რა ეროვნული წარმოების აღორძინება-გაძლიერებას. ევროპული კავშირი მხოლოდ იმ საქონელს გაათავისუფლებს საბაჟო გადასახადებისაგან, რომელიც ქართულია.

ევროპული კავშირის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცე

ევროპული კავშირი საკუთარ მოქალაქეებს სთავაზობს თავისუფლების, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სივრცეს შიდა საზღვრების გარეშე, სადაც ადამიანი უზრუნველყოფილ-

ია თავისუფალი გადაადგილებით. აქ გარანტირებულია უსაფრთხოებისა და დაცვის მაღალი დონე კრიმინალის, რასიზმის, ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესაბამისი მექანიზმებით, რაც კოორდინირებულია წევრი ქვეყნების პოლიციასა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს შორის თანამშრომლობით.

2017 წელს ევროპულმა კავშირმა მიიღო კანონი, რის შედეგადაც საქართველოს მოქალაქე უვიზოდ შედის და თავისუფლად გადაადგილდება შენგენის ზონაში (90 დღე 180-დღიან პერიოდში). ამ შესაძლებლობის გახსნის დღიდან საქართველოს ათი ათასობით მოქალაქემ თავისუფლად, ყოველგვარი სავიზო მოსაკრებლისა და სასაზღვრო კვეთის საფასურის გარეშე, იმოგზაურა შენგენის სხვადასხვა ქვეყნაში. საქართველოდან შენგენის ზონის ქვეყნებში მილიონზე მეტი შესვლაა აღრიცხული. გაღრმავდა ხალხთა შორის კავშირები, წამოიწყო სხვადასხვა ერთობლივი საქმიანობა. საქართველოს მოქალაქეები საკუთარი თვალით ხედავენ, რომ ევროპულ კავშირში ნებისმიერი ადამიანი დაცულია, პატივს სცემენ ყველას განურჩევლად რასისა, კანისა, ენისა და ა.შ.

ენის პატივისცემა ევროპულ კავშირში

ევროპული კავშირი პატივს სცემს თითოეული წევრი სახელმწიფოს ენას. ამიტომაც, ევროპულ კავშირში 24 ოფიციალური და სამუშაო ენაა. ეს ნიშნავს შემდეგს: როცა ევროპული კავშირი იღებს კანონებს, გადაწყვეტილებებს, ის ითარგმნება ყველა ევროპულ ენაზე და საკუთარ სახელმწიფო ენაზე მიეწოდება ხალხს.

ეს პრინციპი ასახულია ასოცირების შეთანხმებაშიც. ასოცირების შეთანხმების თანახმად, სამართლებრივი დაახლოების (აპროქსიმაციის) დროს, საქართველომ უნდა თარგმნოს ევროპული კავშირის კანონმდებლობა, რათა მოხდეს ევროპული სტანდარტების ზუსტი შემეცნება, გაგება და სწორი ინკორპო-

რირება ეროვნულ სამართალში. გარდა ამისა, ევროპული კავშირი ფინანსურადაც ეხმარება საქართველოს, რომ ქართულ ენაზე თარგმნონ უცხოური კანონმდებლობა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის №186 განკარგულების თანახმად, ევროპული კავშირის კანონმდებლობის ქართულ ენაზე თარგმნა უნდა განახორციელოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნემ.

თუ საქართველო გაწევრიანდება ევროპულ კავშირში, ქართული ენა ევროპული კავშირის ოფიციალური და სამუშაო ენა გახდება.

ოჯახი და ქორწინება ევროპულ კავშირში

ევროპულ კავშირში ოჯახისა და ოჯახის ერთიანობის დაცვა ფუნდამენტური ღირებულებების ნაწილია. ევროპული კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის თანახმად:

- ყველას აქვს უფლება დაიცვას პირადი და საოჯახო ცხოვრება;
- დაქორწინების უფლება და ოჯახის შექმნის უფლება უზრუნველყოფილია ეროვნული კანონმდებლობებით;
- ოჯახი სარგებლობს სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური დაცვით;
- ოჯახური და პროფესიული ცხოვრების შეთავსების მიზნით, ნებისმიერს აქვს უფლება დაცული იყოს სამსახურიდან გათავისუფლებისგან დედის დეკრეტული შვებულების და მშობლის შვებულების და შვილად აყვანის შვებულების დროს.

ევროპული კავშირის ყველა წევრ ქვეყანას აქვს საკუთარი ისტორიული, კულტურული, ადათობრივი წარმოდგენები და მსოფლმხედველობა ოჯახის შესახებ, რაც ასახულია თითოეუ-

ლი ქვეყნის კონსტიტუციაში. მაგალითად, ლატვია არის ევროპული კავშირის წევრი. ლატვიის კონსტიტუციაში წერია შემდეგი: „სახელმწიფო იცავს და მხარს უჭერს ქორწინებას – ქალისა და კაცის კავშირს...“. პოლონეთი არის ევროპული კავშირის წევრი. პოლონეთის კონსტიტუციაში წერია „ქორწინებას, რომელიც არის კაცსა და ქალს შორის კავშირი, ასევე, ოჯახს, დედობას და მშობლობას იცავს და მფარველობს პოლონეთის რესპუბლიკა“.

ზემოაღნიშნული და სხვა მაგალითები მოწმობს, რომ ევროპული კავშირი არ ერევა ქვეყნების იდენტურობისა და მსოფლმხედველობის ასპექტებში, რომელიც ეხება ქორწინებასა და ოჯახს. ამდენად, ევროპულ კავშირს არასდროს მოუთხოვია და არც მომავალში მოსთხოვს საქართველოს, შეცვალოს დამოკიდებულება ოჯახისა და ქორწინების მიმართ.

ევროპული კავშირის დახმარებები საქართველოსადმი

ევროპული კავშირი საქართველოს ყოველწლიურად ეხმარება არანაკლებ 350 მილიონი ლარით, რაც მიემართება სხვადასხვა სფეროს, მათ შორის, ეკონომიკისა და კერძო სექტორის მხარდაჭერას, სოფლის მეურნეობას, განათლებას, საჯარო ადმინისტრირებას, მართლმსაჯულებას, გარემოს, ტრანსპორტს, კულტურას.

ევროპული კავშირის დახმარებით შეიქმნა ახალი საიტი, სადაც აღწერილია 160 პროექტზე მეტი, რასაც ევროპული კავშირის დახმარებით დღეს ახორციელებს საქართველო. ეს საიტია: https://eu4georgia.ge

https://eu4georgia.ge/ka

2017-2020 წლებისათვის ევროპული კავშირის მხრიდან საქართველოს მიმართ ინდივიდუალური მხარდაჭერის ჩარჩოს (Single Support Framework) ფარგლებში გამოყოფილია 371 მილიონი ევროდან 453 მილიონ ევრომდე ოდენობით ფინანსური დახმარება. ამ თანხის 40% მიემართა ეკონომიკური გან-

ვითარებისა და ბაზრის შესაძლებლობის ზრდის პროექტებს; 20% – კარგი მმართველობისა და ინსტიტუციური გაძლიერების პროექტებს; 15% – ენერგოეფექტურობის, გარემოს და კლიმატის ცვლილების სფეროში პროექტებს; 10% – ხალხთა შორის კავშირის მხარდაჭერასა და მობილურობის პროექტებს; 5% – სტრატეგიული კომუნიკაციის მხარდაჭერის პროექტებს; 5% – სამოქალაქო სექტორის განვითარების მხარდაჭერის პროექტებს; 5% – ინსტიტუციური მშენებლობისა და შესაძლებლობების დამატებით მხარდაჭერის პროექტებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველო არის ევროპული კავშირის რეგიონული და მულტი-სახელმწიფოების სამოქმედო პროგრამების ფონდის ბენეფიციარი. აგრეთვე, საქართველო იღებს დახმარებებს და მხარდაჭერას ჰორიზონ 2020 (Horizon 2020), ერასმუს+ (Erasmus+) და კრეატიული ევროპის (Creative Europe) პროგრამების ფარგლებში.

Covid-19, პანდემიისა და საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, მაშინ როცა ევროპულ კავშირს თავად ჰქონდა დიდი პრობლემები, მან მოახერხა 1.5 მილიარდი ლარის მობილიზაცია, რათა დახმარებოდა საქართველოს კრიზისის დაძლევაში. ეს იყო უპრეცედენტო მხარდაჭერა ევროპული კავშირის მხრიდან საქართველოს მიმართ ჯანდაცვის სფეროში არსებულ პრობლემებთან გამკლავების და სამომავლო ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებთან ბრძოლის მიზნით.

შრომითი უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები და ასოცირების შეთანხმება

ევროპული კავშირის დიდი ძალისხმევისა და ფინანსური დახმარების შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა შრომის ინსპექციის ინსტრუმენტი, რომლის ფუნქციაა დასაქმებულთა უსაფრთხოების მონიტორინგი და დაცვა.

ევროპული კავშირის მხრიდან მრავალჯერადი მცდელობის შედეგად, საქართველოს შრომის კოდექსში ცვლილებები

შევიდა, რის შედეგადაც გაიზარდა დასაქმებულის შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტი.

ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველო ვალდებულია შექმნას ადამიანის შრომითი უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტი, შექმნას პირობები ნაყოფიერი და სრული დასაქმებისა ყველასათვის. ევროპული კავშირის შრომის კანონმდებლობისა და პრაქტიკის თანახმად, ადამიანის ღირსეული შრომა ღირსეული ყოფის, ღირსეული საცხოვრებელი პირობების, ღირსეული პირადი და საოჯახო ცხოვრების უზრუნველყოფის გარანტორია.

საქართველოშიც, თითოეულმა მოქალაქემ, ვისაც სურს შრომა, თავი დაცულად და ღირსეულად უნდა იგრძნოს. ამ მიზნის მიღწევაშიც, ევროპული კავშირის დახმარება საქართველოსადმი საკმაოდ სოლიდური და დიდია.

ღირსეული შრომის პირობების დამკვიდრების მიზნით, საქართველომ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში უნდა ასახოს ევროპული კავშირის შრომის კანონმდებლობის ისეთი სტანდარტები, რაც უკავშირდება კვირის განმავლობაში ნორმირებულ სამუშაო დროს, ზეგანაკვეთური შრომის ლიმიტირებას და სამართლიან ანაზღაურებას, დასვენებას, შესვენებას, დასაქმებულის შევიწროების აკრძალვას, როცა ის იცავს საკუთარ უფლებებს სამსახურში, დედის დეკრეტული შვებულების ღირსეულ ანაზღაურებას, არასრულწლოვანის შრომითი უფლებების დაცვას იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს მის სწავლას, მორალურ, ზნეობრივ, ფიზიკურ განვითარებას, დასაქმებულის ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, დასაქმებულის ჯანმრთელობის მონიტორინგს როგორც დამსაქმებლის, ასევე, სახელმწიფოს მხრიდან და სხვ.

რაც შეეხება დასაქმების ადგილების შექმნას, ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ასევე, სოციალური პოლიტიკის სფეროში. ამ მიზნით, ევროპული კავშირი საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესს ფინანსურად და ტექნიკურად ეხმარება. ასეთი მხარდაჭერის შედეგად მცირე და საშუალო ბიზნესი

ქმნის დასაქმების ადგილებს. ასოცირების შეთანხმების 2019 წლის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ 521 მცირე და საშუალო ბიზნესისადმი გაწეული დახმარების შედეგად (რაც განხორციელდა „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში) საქართველოში 18270 მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

ქართული პროდუქტი ევროპული კავშირის შიდა ბაზარზე

ევროპული კავშირის ბაზარზე გადის ქართული ღვინო, ლუდი, ლიმონათი, ავეჯი (ცხოველთა სახლები), დაფნა, სამედიცინო და სამკურნალო მცენარეები, მინერალური წყალი, ხილის წვენი, ჯემი, ბოსტნეული, კენკრა, ჩურჩხელა, ხილის ჩირი, ჩაი, მატყლი, სამშენებლო მასალები, აქსესუარები და სხვა.

ზოგიერთი პრაქტიკა:

საქართველო **თხილის** ექსპორტიორი უმსხვილესი ქვეყნების ხუთეულში შედის. ქართული თხილის ყველაზე მსხვილი საექსპორტო ბაზარი (ბაზრის 60%) ევროპის ქვეყნებზე მოდის. ქართული თხილის 75%-ზე მეტის ექსპორტი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ხდება. ევროკავშირის ბაზრებზე ყველაზე ძლიერი კონკურენტი თურქეთია, თუმცა ქართული თხილის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს მისი მაღალი ცხიმიანობა, რაც 7-8%-ით მეტია თურქული თხილის სახეობებთან შედარებით.

ჩატარებული კვლევის მიხედვით, **კივის** მოსაყვანად ყველაზე კარგი კლიმატი ახალი ზელანდიის შემდეგ საქართველოში, კერძოდ, ფოთი-ზუგდიდი-გალი-ოჩამჩირის ტერიტორიაზეა. ქართული კივის ერთ-ერთი უპირატესობა მაღალი შაქრიანობაა. იტალიური კივის შაქრიანობის მაჩვენებელი 13,9%-ია, ქართული კივის სიტკბოს შემცველობა კი 17,3%-ს შეადგენს. დღეს კომპანია „ნერგეტა” ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში მოწეულ კივს ევროკავშირში ყიდის.

„**ქართული მწვანილი** მოდის წელიწადის ძალიან კარგ დროს: სექტემბრიდან მაისამდე, ეს ის პერიოდია, როდესაც ევროპას მწვანილი სჭირდება” – ასე შეაფასა ჰოლანდიურმა კომპანიამ Bilancia ქართული მწვანილი, მას შემდეგ რაც ევროკავშირში რეალიზაციის პოტენციალი შეისწავლა. იმერეთის 1000-მდე სასათბურე მეურნეობაში 550 მცირე მეწარმესა და 10 მსხვილ კომპანიას წელიწადში დაახლოებით 25 000-მდე ტონა მწვანილი მოჰყავს.

მატყლი ცხოველური წარმოშობის პირველი პროდუქტია, რომლის ექსპორტიც დაუშვა ევროკავშირმა. ევროკავშირმა მატყლის მწარმოებელი 2 კომპანია აღიარა: შპს „ჯორჯიან ვულ“ და შპს „ქართული მატყლის კომპანია“.

ქართული **თაფლი** უნიკალური არომატითა და გემოთი გამოირჩევა, ამიტომ ის ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენაზე. თაფლი მეორე ცხოველური წარმოშობის პროდუქტია, რომელსაც ევროპულმა კავშირმა ბაზარი სრულად გაუხსნა.

ევროპული კავშირის შიდა ბაზარი დიდია და ის დიდი რაოდენობით ითხოვს პროდუქტს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, საქართველოში მწარმოებლებმა შექმნან კოოპერატივები – ძალისხმევა, კაპიტალი და რესურსი გააერთიანონ. ასეთი გაერთიანებების შექმნაც მხარდაჭერილია ევროპული კავშირის მხრიდან. მაგ., საქართველოს მთავრობამ, ევროკავშირის დახმარებით, ფერმერთა კოოპერაციის ევროპული პრაქტიკის დანერგვა დაიწყო. დღეისათვის, ქვეყანაში რეგისტრირებულია 1500-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც 13,000-ზე მეტ ფერმერს აერთიანებს. ევროკავშირმა 4 მილიონი ევროს პირდაპირი საგრანტო დახმარება გაუწია 200-ზე მეტ კოოპერატივს, რომელიც 2000-ზე მეტ ფერმერს აერთიანებს. ევროკავშირის დაფინანსებით გადამზადება გაიარა 7200-ზე მეტმა ფერმერმა.

სურსათის უვნებლობა და პროდუქტის უსაფრთხოება — ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა

საქართველოში წარმოშობილი პროდუქტი და სურსათი, ევროპული კავშირის ბაზარზე რომ გაიყიდოს, უვნებლობის და უსაფრთხოების სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს. ევროპულ კავშირში ადამიანი ყველაზე მაღალი და უზენაესი სიკეთეა და ყველაფერი მის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს, მათ შორის, ბიზნესიც. ამდენად, სურსათის უვნებლობის შემოწმება ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის უსაფრთხოებას ნიშნავს.

სურსათის უვნებლობა დამოკიდებულია წყლის და მიწის სიჯანსაღეზე, მცენარისა და ცხოველის ფიტოსანიტარულ და ჰიგიენურ ნორმებზე, სურსათის დამზადების ტექნოლოგიების გამართულობასა და სისუფთავეზე. ამიტომაც, მოწმდება წარმოების პროცესის თითოეული სეგმენტი „ფერმიდან მაგიდამდე“. მაგალითად, ხორცი რომ უვნებელი იყოს, აუცილებელია ცხოველის სადგომი იყოს სუფთა, ცხოველს აძლევდნენ ჯანსაღ საკვებს, ცხოველზე ხორციელდებოდეს ვეტერინარული მეთვალყურეობა (რა დაავადებები გადააქვს, რა წამლებს აძლევენ), ცხოველის დაკვლა, შენახვა და შეფუთვა განხორციელდეს დადგენილი წესით და სხვა.

უვნებლობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობა იღებს დადგენილებებს. მაგალითად:

- „ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მათი სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის წესების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ოქტომბრის №483 დადგენილება;
- „კარტოფილის რგოლური სიდამპლის კონტროლის პროცედურების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის №553 დადგენილება;
- სხვა.

უვნებლობის სტანდარტების დამკვიდრება – ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ფერმერი და მეწარმე ვალდებულია იფიქროს

არა მხოლოდ ეკონომიკურ მოგებაზე, არამედ ადამიანების კარგად ყოფნაზე. **ეს არა მხოლოდ ადამიანზე ზრუნვის, არამედ მწარმოებლის, ფერმერის რეპუტაციის, სახელის და ღირსების საკითხიც არის. ასეთია ევროპული სტანდარტი.**

ზოგიერთი ამბობს, რომ საქართველოში იმიტომ უნდა დამზადდეს უსაფრთხო და უვნებელი სურსათი და პროდუქტი, რომ გაიყიდოს ევროპული კავშირის ბაზარზე. ეს არასწორია. საქართველოში იმიტომ უნდა დამზადდეს უვნებელი საქონელი, რომ საქართველოშიც, ევროპულ კავშირშიც და სხვა ქვეყნებშიც ისეთი საქონელი გაიყიდოს, რომელიც ზიანს არ აყენებს არც საქართველოს მოქალაქეს და არც უცხოელს.

საქართველოში წარმოებული სურსათი ჯანსაღი და უვნებელი რომ იყოს, საჭიროა სხვადასხვა სურსათის კვლევისა და შემოწმების ლაბორატორიები. ევროპული კავშირი ამ საქმეშიც ეხმარება საქართველოს. დღეისათვის საქართველოში მუშაობს ლაბორატორიული ქსელი, რომელიც მოიცავს სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას, კერძოდ, მის დაქვემდებარებაში მყოფ 3 ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას (თბილისი, ქუთაისი, ახალციხე) და 8 რეგიონალურ ლაბორატორიას (გორი, მარნეული, დუშეთი, გურჯაანი, ამბროლაური, ოზურგეთი, ზუგდიდი, ბათუმი). ლაბორატორიები არამხოლოდ უვნებლობის სტანდარტის დადგენას და შენარჩუნებას უწყობენ ხელს, არამედ ქმნიან სამუშაო ადგილებს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

ასოცირების შეთანხმების თანახმად, უნდა იქნას უზრუნველყოფილი მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი დონე. მომხმარებელთა უფლებები ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილია. კმაყოფილი მომხმარებელი ნიშნავს, რომ ბიზნესი და წარმოება კონკურენტუნარიანია და მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად იქცევა.

მომხმარებელი კმაყოფილია, როცა აქვს არჩევანი, ფასები ხელმისაწვდომია, პროდუქტი და მომსახურება ხარისხიანი, ინფორმირებულია (არ ატყუებენ), ეპყრობიან პატივისცემით. ევროპულ კავშირში დიდი ყურადღება ეთმობა მომხმარებლის უფლებების დაცვას. ამ მიზნით მიღებულია კანონები და ჩამოყალიბებულია დაცვის სხვადასხვა მექანიზმები.

ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ზეგავლენით, საქართველოში მომხმარებელთა დაცვის სფეროში ზოგიერთი ასპექტი დადებითი პრაქტიკისკენ განვითარდა. მაგალითად, მაღაზიები უკან იბრუნებენ ტანსაცმელს (შეცვლის მიზნით) ან გაფუჭებულ საქონელს.

თანასწოროობის პოლიტიკა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა

ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკის ფარგლებში, 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. კანონის შესაბამისად განისაზღვრა ცნებები და მექანიზმები, რათა დისკრიმინაცია აღმოიფხვრას ნებისმიერი ურთიერთობის ფორმატში, იქნება ეს შრომითი ურთიერთობები, განათლების სფერო, რელიგია, ენა, ეროვნება, ქონებრივი მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა, კანის ფერი, სქესი თუ სხვა.

დისკრიმინაციად მიჩნეულია როგორც შევიწროება, ასევე, განსხვავებული მოპყრობა. შევიწროება არის ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას. **განსხვავებული მოპყრობაა,** როცა პირის მიმართ ხორციელდება ისეთი მოქმედება, რომელიც აუარესებს მის მდგომარეობას თუ ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

განსხვავებული მოპყრობა ყოველთვის არ არის დისკრიმინაცია. ჩვენ გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც საჭიროებენ გაძლიერებას, მხარდაჭერას, გათანაბრებას შესაძლებლობებში. ამიტომაც, თუ განსხვავებულად ეპყრობიან და აძლიერებენ ფეხმძიმე ქალს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს, ეთნიკურ უმცირესობას და სხვას, ეს არ მიიჩნევა დისკრიმინაციად. **თუმცა ასეთი განსხვავებული მოპყრობა უნდა იყოს გონივრული, აუცილებელი, პროპორციული, ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის საჭირო, ზნეობრივი და მორალური.**

გამოყენებული წყაროები

საქართველოს კონსტიტუცია, https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის (ასოცირების შეთანხმება), https://matsne.gov.ge/document/view/2496959

საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, https://matsne.gov.ge/document/view/2339687?publication=1

2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, https://mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf

შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1212956?publication=0

საქართველოს მთავრობის განკარგულება №765, 2017 წლის 13 აპრილი, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის 2017-2020 წლებისთვის დამტკიცებისთაობაზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3650131?publication=0

საქართველოს მთავრობის დადგენილება №533, 2017 წლის 7 დეკემბერი, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021-ის“ დამტკიცების შესახებ, დანართი 1, https://matsne.gov.ge/document/view/3924876?publication=0

საქართველოს მთავრობის განკარგულება №186, 2014 წლის 7 თებერვალი, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შესახებ შეთანხმების, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, ეფექტიანი განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2250269?publication=0

ევროპული კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია, https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text–en.pdf

ევროკავშირი საქართველოსათვის, ENPARD, საინფორმაციო ბიულეტენი, http://enpard.ge/ge/newsletters/newsletter01/

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge

http://eugeorgia.info/ka/

dcfta.gov.ge

https://eu4georgia.ge/

ზურაბ ბრაგვაძე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა ევროპულ კონტექსტში

კულტურული მემკვიდრეობის მოვლა, პატრონობა და შთამომავლობისთვის შენახვა, საქართველოს თითოეული მოქალაქის წმინდათა წმინდა ვალია. საქართველოს კონსტიტუციის V მუხლის VI პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე“, ხოლო კონსტიტუციის XX მუხლის IV პუნქტი გვამცნობს, რომ „ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. კულტურული მემკვიდრეობა დაცულია კანონით“[2]. კულტურულ მემკვიდრეობას იცავს საქართველოს პარლამენტის მიერ 2007 წელს მიღებული კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.“[3]

მას შემდეგ, რაც 2014 წელს ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას ევროკავშირსა და საქართველოს შორის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკისა და კანონმდებლობის დაახლოება საერთო ევროპულ სივრცესთან, საქართველოსთვის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რაც, თავის მხრივ, სასიკეთოდ უნდა აისახოს დარგის განვითარებასა და სამომავლო პერსპექტივებზე. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ვიცოდეთ, რა პერსპექტივებს ითვალისწინებს აღნიშნული შეთანხმება განათლებისა და მეცნიერების სფეროში.[4]

ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს დაახლოებას ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან

2 https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

3 https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=14

4 http://www.parliament.ge/ge/gavigot-meti-evrokavshirtan-asocirebis-shetanxmebis-shesaxeb/associationagreement1

განათლებისა და მეცნიერების სფეროში. განსაკუთრებული აქცენტი გამახვილებულია უმაღლეს განათლებაზე. უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება თანხვედრაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა“ (Modernisation Agienda For Higher Edutsion) და ბოლონიის პროცესთან. ძლიერდება თანამშრომლობა აკადემიურ სფეროში, რაც გულისხმობს, როგორც ინსტიტუციური თანამშრომლობის გაზრდას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, ასევე ევროპული გამოცდილების გაზიარებას კურიკულუმების შემუშავების, უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ადმინისტრირების ახალი მეთოდების დანერგვისა და სხვა საკითხებში, ასევე სტუდენტებისა და უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამების გაზრდასა და პარტნიორი ქვეყნების სტუდენტების მონაწილეობას ერთობლივ სამაგისტრო ხარისხის პროგრამების სრულ ციკლში. შესაბამისად, იზრდება ხარისხიანი ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა ქართველი სტუდენტებისთვის ევროპულ სასტიპენდიო და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გზით, რაც ასევე ხელს უწყობს საქართველოს ინტეგრირებას ევროკავშირის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში. ამასთან, შეთანხმება ხელმისაწვდომს ხდის ქართველი მეცნიერებისთვის პარტნიორი ქვეყნების შესაბამის პროგრამებს, ზრდის ქართველ მკვლევართა ჩართულობას ევროკავშირის ჩარჩო კვლევით პროგრამაში, ხელს შეუწყობს ერთობლივი პროექტების განხორციელებას, მკვლევრების გაცვლასა და სხვა. შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა-სწავლების წახალისებასა და თანამშრომლობას პროფესიული განათლებისა და პროფესიული დარგების განვითარების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების პრობლემის მოგვარებას.

ცხადია, აქ იგულისხმება კულტურული მემკვიდრეობაც და როგორც კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ევროპული განათლების მიღების შესაძლობლობა, ასევე საქართველოს

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მეცნიერული შესწავლისა და ზოგადი მენეჯმენტის საერთო ევროპულ სივრცესთან დაახლოება. აქვე ის რეალობაც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამდე ბევრად ადრე დაიწყო ზრუნვა კულტურული მემკვიდრეობის სფეროს, როგორც საკანონმდებლო ბაზის, ასევე პრაქტიკული საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანაზე ევროპულ საერთაშორისო კონვენციებთან.

საერთაშორისო კონვენციებთან მიმართებაში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულება გულისხმობს, რომ კულტურული მემკვიდრეობა მომავალ თაობებს გადაეცეს პირვანდელ მდგომარეობაში, სრული მრავალფეროვნებით, როგორც ადამიანების მეხსიერების უმთავრესი ნაწილი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოისპობა ადამიანის შეგნება, რომ მას აქვს უწყვეტი განვითარება. ევროპული ცივილიზებული სამყარო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კულტურულ მემკვიდრეობას, როგორც საზოგადოების უპირველეს საზრუნავს და მას ნებისმიერი ქვეყნის ფუნდამენტურ ფასეულობად მიიჩნევს.

ევროპულ კულტურულ სივრცეში ქართული კულტურის ინტეგრაციის დაჩქარებისა და მსოფლიო კულტურულ საგანძურში საქართველოს ძეგლების სათანადო ადგილის დაკავების მიზნით, ჩვენი, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობათა დაცვა უნდა გახდეს საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. ეს წარმოადგენს როგორც საერთაშორისო და ევროპული კონვენციების, ასევე მთლიანად ევროკავშირის ძირითად მოთხოვნას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შესწავლისა და კვლევის სფეროში.

ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოს მიერთებას 1992 წლის ლა-ვალეტას „არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპულ კონვენციასთან“, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში დღეს მიმდინარე რთული

პროცესების რეგულირებაში. კონვენციის მოთხოვნების პრაქ-ტიკული განხორციელება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს არსებული მემკვიდრეობის ახლებურ შესწავლას, მის დაცვასა და პოპულარიზაციას. კონვენციით გათვალისწინებული ტექნი-კური და სამეცნიერო ურთიერთდახმარება კი, ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას. კონვენცია ითვალისწინებს ურ-ბანისტიკაში არსებულ უაღრესად მტკივნეულ პრობლემებს, უშუალოდ ეხება ქალაქ-მშენებლობასა და ძველი ქალაქების ისტორიული უბნების გადარჩენის საკითხებს; ამ სფეროში განსაზღვრავს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს ქვეყ-ნის ცენტრალური ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ორგანოებისათვის, რათა სწორად და ობიექტურად გამოიყოს პრიორიტეტები. ვინაიდან კონვენციის მიზანი კულტურული და არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვაა, ის ქვეყნები, რომ-ლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, ვალდებულნი არიან ჩამოაყალიბონ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა არქეოლოგი-ური მემკვიდრეობის აღრიცხვის, ისტორიული ძეგლებისა და ზონების კლასიფიკაციისა და არქეოლოგიური ნაკრძალების შექმნის მიზნით. წევრი ქვეყნების მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გათხრებისა და სხვა არქეოლოგიური საქმიანობის კანონიერება და კონტროლი. აგრეთვე, გათხრების უსაფრთხ-ოება და მათი წარმოება კვალიფიციური სპეციალისტების მიერ.

„ლა ვალეტას კონვენციის“ პარალელურად, საქართველო მიუერთდა გრანადას „ევროპის არქიტექტურული მემკვიდრე-ობის დაცვის კონვენციასაც“, რომელშიც ჩამოყალიბებულია არქოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის სამართლებრივი პრო-ცედურები. კონვენციის მიხედვით, ყოველი მონაწილე ქვეყა-ნა ვალდებულია, შესაბამისი ზედამხედველობის და უფლება-მოსილების ფარგლებში, გაატაროს კანონით განსაზღვრული ზომები, რომლებიც, ამავდროულად, გაითვალისწინებს ყოვე-ლი სახელმწიფოსა და რეგიონის სპეციფიკას. ამით უზრუნ-ველყოფილ უნდა იყოს მონუმენტების, შენობა-ნაგებობების და არქიტექტურულად ღირსშესანიშნავი ადგილების დაცვა

ყოველგვარი მავნე ზემოქმედებისაგან. „გრანადის“ კონვენცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს შეიმუშაოს საკანონმდებლო პროცედურები ისტორიული შენობა-ნაგებობების ირგვლივ ნგრევის, ახალი ნაგებობების აშენების ან ნებისმიერი ისეთი ცვლილების აღსაკვეთად, რომელიც ავნებს ისტორიული შენობების საერთო იერ-სახეს. [5]

აღნიშნული საერთაშორისო კონვენციების თანახმად, ისტორიული ადგილები და მათ გარშემო არსებული ტერიტორიები მსოფლიო მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილად უნდა იქნეს მიჩნეული. ყველა სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ასეთი მემკვიდრეობა და აქციოს ის თანამედროვე სოციალური ცხოვრების ნაწილად. ყოველი ისტორიული ადგილი და ტერიტორია მათ ირგვლივ ერთიან კონტექსტში უნდა იქნეს აღქმული. შესაბამისად, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ჰარმონიულობასა და ესთეტიკურ მხარეს. დაცული უნდა იყოს შენობათა ჯგუფის შემადგენელი ნაწილების ერთმანეთთან მსგავსება, კავშირი თუ კონტრასტი, რომელიც ყოველ შენობას განსაკუთრებულ ხასიათს სძენს და რაც მისი ისტორიული ხასიათის შენარჩუნებას განაპირობებს. ისტორიული ადგილები და მათ გარშემო არსებული ტერიტორია დაცული უნდა იქნეს ნებისმიერი სახის დაზიანებისაგან, განსაკუთრებით, შეუფერებელი გამოყენების, ცვლილებებისა და დაბინძურებით გამოწვეული ზიანისაგან. ამასთანავე, თანამედროვე ურბანიზაცია, მასშტაბების უზომო ზრდისა და შენობათა სიჭარბიდან გამომდინარე, ქმნის ისტორიული ადგილების განადგურების საშიშროებას და მათი ქარგის რღვევის საფრთხის მატარებელიცაა. ამიტომ, არქიტექტორებისა და ქალაქგეგმარების სამსახურების ვალია, არ დაუშვან ძეგლებზე ხედების დამახინჯება.

სამოქალაქო სამართლის გაერთიანების საერთაშორისო ინსტიტუტის (იუნიდროიტი) მხარდაჭერით, 1995 წლის 24 ივნისს, რომში 70 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს „კონვენცია მოპარული ან უკანონოდ გატანილი კულტურული საგნების შესახებ“. ამ კონვენციით, ქვეყნის ტერიტორიიდან კულტურულ

5 http://www.parliament.ge/files/714_9879_341434_kulturuli_memkvid_dacva.pdf

ღირებულებათა უკანონოდ გატანის შემთხვევაში, გათვალისწინებულია გარკვეული სანქციები. დაზარალებულ მხარედ ითვლება არა მხოლოდ ნივთის მფლობელი ან სახელმწიფო, არამედ ასევე მოპარული ან უკანონოდ ექსპორტირებული ნივთის ახალი მფლობელიც, რომელმაც ეს ნივთი კანონიერი გზით შეიძინა და არაფერი იცოდა მისი კულტურული ღირებულების შესახებ. ნივთის ჩამორთმევის შემთხვევაში, მას უფლება აქვს მიიღოს კომპენსაცია.[6]

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ევროკავშირის როლი არ შემოფარგლულა მხოლოდ ევროპულ კონვენციებთან საქართველოს მიერთებაში თეორიული და სამართლებრივი დახმარებით. გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც გულისხმობდა როგორც ფინანსურ, ასევე ჩვენი ქვეყნის მემკვიდრეობის წინაშე მდგარი გამოწვევების დაძლევაში ევროპელი სპეციალისტების აქტიურ ჩართულობასა და პრაქტიკულ თანადგომას. სწორედ ევროპელი სპეციალისტების დახმარებითა და ჩართულობით შემუშავდა და მომზადდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პირველადი აღრიცხვისა თუ პასპორტების ნიმუშები, რომლებიც ემყარება ამ საქმეში ევროკავშირის სახელმწიფოების (იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ხორვატია) გამოცდილებას და დღეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვიანობა სრულ თანხვედრაშია ევროკავშირის სტანდარტებთან.

ნორვეგიის სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა საუკუნის პროექტი, როდესაც შექმნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გის პორტალი, რომელიც წარმოადგენს ერთიან კომპლექსურ სისტემას და მოიცავს ინფორმაციას ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის უძრავ თუ მოძრავ ძეგლებსა და ობიექტებზე. პორტალის მეშვეობით ყველას შეუძლია მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია როგორც კულტურულ ფასეულობებზე, ასევე მემკვიდრეობის

6 http://www.parliament.ge/files/714_9879_341434_kulturuli_memkvid_dacva.pdf

დამცავ ზონებზე, კედლის მხატვრობაზე, ქვის კვეთილობაზე, მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში დაცულ არტეფაქტებზე. აქ გაერთიანებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზები, საარქივო მონაცემები, კონკრეტული ძეგლების არქიტექტურული ნახაზები, ფოტო მასალა, ბიბლიოგრაფია და სხვ. გის პორტალი შესაძლებლობას იძლევა, მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ინტერაქტიურ რეჟიმში შეივსოს და განახლდეს ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ.[7]

რა თქმა უნდა, XXI საუკუნეში ასეთი პორტალის არსებობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია, მით უფრო, მსგავსი სეგმენტით ევროპის (მათ შორის ევროკავშირის) ბევრი ქვეყანა ვერ დაიკვეხნის. თუმცა, ევროკავშირის თანადგომა მხოლოდ ამ ფაქტებით არ ამოიწურება. ევროპელი სპეციალისტების აქტიური ჩართულობით განხორციელდა ვარძიის უნიკალური ფრესკების, მცხეთის ჯვრის ტაძრის, გელათის, ძალისის განუმეორებელი ანტიკური მოზაიკისა და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის ძეგლის რესტავრაციის პროცესი.

ევროპელი (გერმანელი, ბრიტანელი, პოლონელი, ესპანელი) არქეოლოგები დიდი ხანია ჩართული არიან საქართველოს ისეთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლების კვლევა-ძიებაში, როგორებიცაა: ნოქალაქევი, გონიო, ქუთაისი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ნაზარლები, ნაცარგორა, დედოფლის გორა, ხრამის გორა, დმანისი, არუხლო და საყდრისი. მთლიანობაში ამ ძეგლების საველე სამუშაოებსა და მეცნიერულ პუბლიკაციებზე ევროკავშირის მხრიდან დახარჯულია 1 მილიონ ევროზე მეტი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის საქმეში ნაყოფიერია საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ქართველი და იტალიელი მეცნიერების კოოპერაციას და თანამშრომლობას კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა მიმართულებით (არქეოლოგია,

7 http://memkvidreoba.gov.ge/

ეთნოგრაფია, ხელოვნების ისტორია) ერთობლივი სამეცნიერო ვორქშოფების, სამეცნიერო კონფერენციებისა და ერთობლივი პუბლიკაციების კუთხით.

საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიც აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის ქვეყნების ცალკეულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრებთან სტუდენტების გაცვლიდან დაწყებული, გრძელვადიანი სამეცნიერო მივლინებებით დამთავრებული. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვენეციის კა ფოსკარის უნივერსიტეტის თანამშრომლობა. უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთმა ქართველმა ახალგაზრდამ გაიარა სამაგისტრო, სადოქტორო თუ პოსტსადოქტორო კურსები აღნიშნულ უნივერსიტეტში და დაიცვა სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხი. უკვე წლებია გერმანიის ვიტენბერგის უნივერსიტეტთან ნაყოფიერად თანამშრომლობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამ უნივერსიტეტის რამდენიმე კურსდამთავრებულმა სწორედ რომ ვიტენბერგის უნივერსიტეტში გაიარა სადოქტორო პროგრამა და დოქტორის აკადემიური ხარისხიც იქვე მიენიჭა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ვენეციის, ასევე ვიტენბერგის უნივერსიტეტების შემთხვევებში, ქართველი სტუდენტები ამუშავებდნენ, შეისწავლიდნენ, იკვლევდნენ და აკადემიურ ხარისხებს იცავდნენ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ცალკეულ პრობლემებზე (მტკვარ-არაქსის, თრიალეთის, გვიან ბრინჯაოს ხანის თუ კოლხური კულტურის საკითხებზე).

ევროკავშირის სხვადასხვა უნივერსიტეტი თუ სამეცნიერო ცენტრი აქტიურად გამოსცემს ქართველი მეცნიერების ნაშრომებს (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ ენებზე) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ, რათა ისინი ხელმისაწვდომი გახდეს დანარჩენი მსოფლიოსთვისაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ ავტორთა პუბლიკაციები ხორციელდება ამ უნივერსიტეტებისა თუ სამეცნიერო ცენტრების ხარჯით და ევროკავშირის სახელ-

მწიფოების მხრიდან რამდენიმე ათეულ ათასობით ევროა დახარჯული ქართული კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერულ კვლევებსა და პუბლიკაციებზე. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი ტიპის კვლევები ხელს უწყობს ევროპელი მეცნიერების ჩართულობას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის პროცესში და ქართული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას ევროკავშირისა და, ზოგადად, მსოფლიოს მასშტაბით. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, რომელსაც პარტნიორული ურთიერთობები აქვს ევროკავშირის ისეთ ტოპ მუზეუმებთან, როგორებიცაა „ლუვრი“, „პრადო“, „პერგამონ მუზეუმი“, „კაპიტოლიუმი“ და ევროპის სხვა წამყვანი მუზეუმები. ნათქვამის დასტურია აღნიშნულ მუზეუმებში ეროვნული მემკვიდრეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი ძეგლების გამოფენა, როგორიცაა კოლხური ოქრომჭედლობა, საქართველოს უძველესი მეტალურგია, ფიროსმანის შედევრები და სხვ. ის რეალობაც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ცალკეული მუზეუმებიც აწყობენ საკუთარი კოლექციების გამოფენებს საქართველოში და ამ მხრივ უაღრესად ნაყოფიერი იყო უკანასკნელი ათწლეული, როდესაც ქართველ ხელოვნების მოყვარულებს მიეცათ საშუალება საქართველოში ეხილათ შუა საუკუნეების იტალიური აღორძინების ეპოქისა თუ ახალი დროის უდიდესი მხატვრების შედევრები. ეს თანამშრომლობა წარმატებით გრძელდება და მომავალშიც არაერთი ქართული გამოფენა მოეწყობა ევროკავშირის ცნობილ მუზეუმებში და ქართველი დამთვალიერებელი არაერთ მსოფლიო შედევრს იხილავს საქართველოში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპელი სპეციალისტები აქტიურად არიან ჩართული საქართველოში ეროვნული და რელიგიური უმცირესობების მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რესტავრაციის საქმეში და, ამ მხრივ, თვალსაჩინოა თბილისის წმ. გრიგოლის სომხური ტაძრის (სურბ გევორქი) მაგალითი, რომლის ფრესკების აღდგენაში მონაწ-

ილეობდნენ იტალიელი რესტავრატორები.
საქართველოს განვითარების გზა რომ ევროპული არჩევანია, კარგად ვლინდება კულტურული მემკვიდრეობის მაგალითზეც. კიდევ არაერთი კონკრეტული მაგალითის მოხმობა შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთ ნათქვამი საკმარისად დაგვანახებს როგორ იღვწის ევროპა, ქართველმა ხალხმა შეინარჩუნოს და მომავალ თაობებს გადასცეს საუკუნეების მანძილზე შექმნილი დიდი კულტურა – ევროპული კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილი.

გამოყენებული წყაროები:

http://www.parliament.ge/ge/gavigot-meti-evrokavshirtan-asocirebis-shetanxmebis-shesaxeb/associationagreement1

https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

https://matsne.gov.ge/ka/document/view/21076?publication=14

http://www.parliament.ge/files/714–9879–341434–kulturuli–memkvid–dacva.pdf

http://memkvidreoba.gov.ge/

ISBN: 978-9941-9702-4-5